

შპს „რომპეტროლ საქართველო“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	5
მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. შპს „რომპეტროლ საქართველო“ და მისი ოპერაციები	9
2. კომპანიის საოპერაციო გარემო	9
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა	10
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა, შეფასება და დაშვება	22
5. ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში	23
6. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	25
7. გაყიდული საქონლის თვითღირებულება	26
8. სადისტრიბუციო დანახარჯები	26
9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	26
10. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური დანახარჯები	27
11. ძირითადი საშუალებები	28
12. მარაგები	29
13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	29
14. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	29
15. საწესდებო კაპიტალი	29
16. კაპიტალის მართვა	30
17. იჯარები	30
18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	32
19. სამართლიანი ღირებულება და რისკის მართვა	32
20. პირობითი ვალდებულებები	39
21. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	41
22. ცვეთა	42
23. დასაქმებულთა სარგოს და სარგებლის ხარჯი	42

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „რომპეტროლ საქართველოს“ აქციონერს და დირექტორთა საბჭოს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „რომპეტროლ საქართველოს“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ არსებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობის ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესსს–ის კოდექსი) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება საქართველოში ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტს და შესრულებული გვაქვს ამ მოთხოვნებით და ბესსს–ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა საკითხები

კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი სხვა აუდიტორმა ჩაატარა, რომელმაც გამოთქვა არა მოდიფიცირებული მოსაზრება ამ ანგარიშგებაზე 2024 წლის 8 ნოემბერს.

კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და ჩვენ მიერ მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას და ჩვენ არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, ვალდებულები ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობის და დირექტორთა საბჭოს პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

დირექტორთა საბჭო პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.


- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

დირექტორთა საბჭოს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- ▶ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- ▶ მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



ლელა მესაბლიშვილი (SARAS-A-672870)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

2025 წლის 1 ოქტომბერი

თბილისი, საქართველო

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023* (რეკლასიფი- ცირებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	11,747	12,509
აქტივების გამოყენების უფლება	17	16,520	18,810
არამატერიალური აქტივები		161	180
სულ გრძელვადიანი აქტივები		28,428	31,499
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	12	8,555	15,962
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	4,054	5,278
გადახდილი ავანსი		1,078	366
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14	1,867	1,745
სულ მოკლევადიანი აქტივები		15,554	23,351
სულ აქტივები		43,982	54,850
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	15	5,765	5,765
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი დეფიციტი)		2,271	(5,182)
სულ საკუთარი კაპიტალი		8,036	583
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	17	14,901	16,737
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		14,901	16,737
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	17	3,145	3,139
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18	15,920	32,278
მიღებული ავანსები		1,040	1,078
სხვა საგადასახადო ვალდებულებები		255	305
გადავადებული ამონაგები		685	730
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		21,045	37,530
სულ ვალდებულებები		35,946	54,267
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		43,982	54,850

*შესადარისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება რეკლასიფიცირებულია მიმდინარე პერიოდის წარდგენასთან შესაბამისობის მიზნით, როგორც მე-3 შენიშვნაშია განსაზღვრული.

გენერალური დირექტორის მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, წინამდებარე დოკუმენტს ხელს აწერს და მის გამოსაცემად ნებართვას გასცემს კომპანიის ფინანსური დირექტორი:

კურმანგაზი ტურლიკოვ
 ფინანსური დირექტორი

2025 წლის 1 ოქტომბერი
 თბილისი, საქართველო

9-42 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023* (რეკლასიფი- ცირებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	11,747	12,509
აქტივების გამოყენების უფლება	17	16,520	18,810
არამატერიალური აქტივები		161	180
სულ გრძელვადიანი აქტივები		28,428	31,499
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	12	8,555	15,962
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	4,054	5,278
გადახდილი ავანსი		1,078	366
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14	1,867	1,745
სულ მოკლევადიანი აქტივები		15,554	23,351
სულ აქტივები		43,982	54,850
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	15	5,765	5,765
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი დეფიციტი)		2,271	(5,182)
სულ საკუთარი კაპიტალი		8,036	583
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	17	14,901	16,737
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		14,901	16,737
მოკლევადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	17	3,145	3,139
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18	15,920	32,278
მიღებული ავანსები		1,040	1,078
სხვა საგადასახადო ვალდებულებები		255	305
გადავადებული ამონაგები		685	730
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		21,045	37,530
სულ ვალდებულებები		35,946	54,267
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		43,982	54,850

*შესადარისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება რეკლასიფიცირებულია მიმდინარე პერიოდის წარდგენასთან შესაბამისობის მიზნით, როგორც მე-3 შენიშვნაშია განსაზღვრული.

გენერალური დირექტორის მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში,
 წინამდებარე დოკუმენტს ხელს აწერს და მის გამოსაცემად ნებართვას გაცემს კომპანიის
 ფინანსური დირექტორი:

კურმანგაზი ტურლიკოვ
 ფინანსური დირექტორი

2025 წლის 1 ოქტომბერი
 თბილისი, საქართველო

9-42 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „რომპეტროლ საქართველო“
მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათას აშშ დოლარში)

	შენიშვნა	2024	2023* (რეკლასიფი- ცირებული)
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული			
ხელშეკრულებებიდან	6	244,675	232,768
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	7	(217,557)	(215,977)
საერთო მოგება		27,118	16,791
სადისტრიბუციო დანახარჯები	8	(11,672)	(10,787)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(5,184)	(5,868)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		266	459
სხვა საოპერაციო ხარჯები		(533)	(371)
საოპერაციო მოგება		9,995	224
ფინანსური შემოსავალი	10	98	185
ფინანსური დანახარჯები	10	(2,640)	(2,960)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		7,453	(2,551)
მოგების გადასახადის ხარჯი		–	–
წლის მოგება/(ზარალი)		7,453	(2,551)
სხვა სრული შემოსავალი		–	–
წლის მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)		7,453	(2,551)

*შესადარისი მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება რეკლასიფიცირებულია მიმდინარე პერიოდის წარდგენასთან შესაბამისობის მიზნით, როგორც მე-3 შენიშვნაშია განსაზღვრული.

გენერალური დირექტორის მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, წინამდებარე დოკუმენტს ხელს აწერს და მის გამოსაცემად ნებართვას გასცემს კომპანიის ფინანსური დირექტორი:

კურმანგაზი ტურლიკოვ
ფინანსური დირექტორი
2025 წლის 1 ოქტომბერი
თბილისი, საქართველო

შპს „რომპეტროლ საქართველო“
მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათას აშშ დოლარში)

	შენიშვნა	2024	2023* (რეკლასიფი- ცირებული)
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული			
ხელშეკრულებებიდან	6	244,675	232,768
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	7	(217,557)	(215,977)
საერთო მოგება		27,118	16,791
სადისტრიბუციო დანახარჯები	8	(11,672)	(10,787)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(5,184)	(5,868)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		266	459
სხვა საოპერაციო ხარჯები		(533)	(371)
საოპერაციო მოგება		9,995	224
ფინანსური შემოსავალი	10	98	185
ფინანსური დანახარჯები	10	(2,640)	(2,960)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		7,453	(2,551)
მოგების გადასახადის ხარჯი		—	—
წლის მოგება/(ზარალი)		7,453	(2,551)
სხვა სრული შემოსავალი		—	—
წლის მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)		7,453	(2,551)

*შესადარისი მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება რეკლასიფიცირებულია მიმდინარე პერიოდის წარდგენასთან შესაბამისობის მიზნით, როგორც მე-3 შენიშვნაშია განსაზღვრული.

გენერალური დირექტორის მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, წინამდებარე დოკუმენტს ხელს აწერს და მის გამოსაცემად ნებართვას გაცემს კომპანიის ფინანსური დირექტორი:

კურმანგაზი ტურლიკოვ
ფინანსური დირექტორი
2025 წლის 1 ოქტომბერი
თბილისი, საქართველო

	საწესდებო კაპიტალური	გაუნაწი- ლებელი შემოსავალი/ (დაგროვილი დეფიციტი)	სულ
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,765	(2,631)	3,134
წლის ზარალი და მთლიანი სრული ზარალი	–	(2,551)	(2,551)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,765	(5,182)	583
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი	–	7,453	7,453
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,765	2,271	8,036

გენერალური დირექტორის მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში,
 წინამდებარე დოკუმენტს ხელს აწერს და მის გამოსაცემად ნებართვას გასცემს კომპანიის
 ფინანსური დირექტორი:

კურმანგაზი ტურლიკოვ
 ფინანსური დირექტორი

2025 წლის 1 ოქტომბერი
 თბილისი, საქართველო

	საწესდებო კაპიტალური	გაუნაწი- ლებელი შემოსავალი/ (დაგროვილი დეფიციტი)	სულ
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,765	(2,631)	3,134
წლის ზარალი და მთლიანი სრული ზარალი	–	(2,551)	(2,551)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,765	(5,182)	583
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი	–	7,453	7,453
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,765	2,271	8,036

გენერალური დირექტორის მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში,
 წინამდებარე დოკუმენტს ხელს აწერს და მის გამოსაცემად ნებართვას გაცემს კომპანიის
 ფინანსური დირექტორი:



კურმანგაზი ტურლიკოვ
 ფინანსური დირექტორი

2025 წლის 1 ოქტომბერი
 თბილისი, საქართველო

	შენიშვნა	2024	2023* (რეკლასიფიცირებული)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		7,453	(2,551)
კორექტირებები:			
ფინანსური შემოსავალი	10	(98)	(185)
ფინანსური დანახარჯები	10	2,640	2,960
ცვთა და ამორტიზაცია	8,9	5,179	5,103
სხვა არაფულადი მუხლები		17	(26)
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		15,191	5,301
ცვლილება შემდეგ მუხლებში:			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		1,474	(844)
გადახდილი ავანსი		(712)	213
მარაგები		7,407	661
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		(17,637)	(279)
მიღებული ავანსები		(38)	(307)
გადავადებული ამონაგები		(45)	(73)
სხვა საგადასახადო ვალდებულებები		(50)	395
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები, მოგების გადასახადისა და პროცენტის გადახდამდე		5,590	5,067
მიღებული პროცენტი		79	70
საიჯარო ვალდებულებაზე გადახდილი პროცენტი	17	(1,430)	(1,505)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		4,239	3,632
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		(732)	(511)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(732)	(511)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა – ძირითადი	17	(3,216)	(2,955)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(3,216)	(2,955)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		291	166
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(169)	(194)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს		1,745	1,773
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	14	1,867	1,745

*შესადარისი ფულადი ნაკადების ანგარიშგება რეკლასიფიცირებულია მიმდინარე პერიოდის წარდგენასთან შესაბამისობის მიზნით, როგორც მე-3 შენიშვნაშია განსაზღვრული.

გენერალური დირექტორის მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, წინამდებარე დოკუმენტს ხელს აწერს და მის გამოსაცემად ნებართვას გასცემს კომპანიის ფინანსური დირექტორი:

კურმანგაზი ტურლიკოვ

ფინანსური დირექტორი

2025 წლის 1 ოქტომბერი

თბილისი, საქართველო

9-42 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „რომპეტროლ საქართველო“
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ათას აშშ დოლარში)

	შენიშვნა	2024	2023* (რეკლასიფი- ცირებული)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		7,453	(2,551)
კორექტირებები:			
ფინანსური შემოსავალი	10	(98)	(185)
ფინანსური დანახარჯები	10	2,640	2,960
ცვეთა და ამორტიზაცია	8,9	5,179	5,103
სხვა არაფულადი მუხლები		17	(26)
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		15,191	5,301
ცვლილება შემდეგ მუხლებში:			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		1,474	(844)
გადახდილი ავანსი		(712)	213
მარაგები		7,407	661
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		(17,637)	(279)
მიღებული ავანსები		(38)	(307)
გადავადებული ამონაგები		(45)	(73)
სხვა საგადასახადო ვალდებულებები		(50)	395
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები, მოგების გადასახადისა და პროცენტის გადახდამდე		5,590	5,067
მიღებული პროცენტი		79	70
საიჯარო ვალდებულებებზე გადახდილი პროცენტი	17	(1,430)	(1,505)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		4,239	3,632
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		(732)	(511)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(732)	(511)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა – ძირითადი	17	(3,216)	(2,955)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(3,216)	(2,955)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		291	166
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(169)	(194)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს		1,745	1,773
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	14	1,867	1,745

*შესადარისი ფულადი ნაკადების ანგარიშგება რეკლასიფიცირებულია მიმდინარე პერიოდის წარდგენასთან შესაბამისობის მიზნით, როგორც მე-3 შენიშვნაშია განსაზღვრული.

გენერალური დირექტორის მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, წინამდებარე დოკუმენტს ხელს აწერს და მის გამოსაცემად ნებართვას გასცემს კომპანიის ფინანსური დირექტორი:

კურმანგაზი ტურლიკოვ

ფინანსური დირექტორი

2025 წლის 1 ოქტომბერი

თბილისი, საქართველო

9-42 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. შპს „რომპეტროლ საქართველო“ და მისი ოპერაციები

შპს „რომპეტროლ საქართველო“ (შემდგომში „კომპანია“) არის ქართული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად. კომპანია 2005 წლის 5 დეკემბერს დაფუძნდა და მისი საიდენტიფიკაციო კოდია 204493002. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია გამრეკელის ქუჩა №19, თბილისი, საქართველო. კომპანიის სათავო ოფისი მდებარეობს მისამართზე: საქართველო, თბილისი 0171, მ. ალექსიძის ქ. №12, ბიზნეს ცენტრი „ქინგ დავიდი“, მე-4 სართული.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საწვავის იმპორტი, საბითუმო და საცალო ვაჭრობა ბენზინგასამართი სადგურების და საწყობის ქსელით, რომელიც მთელს საქართველოშია განთავსებული. საცალო ქსელი 70 ბენზინგასამართ სადგურს (2023 წ.: 64 ბენზინგასამართი სადგური), რომლებიც მთელი ქვეყნის მასშტაბით მდებარეობს, რომელთა უმეტესობა – 63 ბენზინგასამართი სადგური (2023 წ.: 58 ბენზინგასამართი სადგური) მესამე მხარეებისგან არის იჯარით აღებული და „რომპეტროლის“ ბრენდის ქვეშ ფუნქციონირებენ.

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის უშუალო მშობელი საწარმო იყო „KMG International N.V.“ (შემდგომში „მშობელი საწარმო“), რომელიც საბოლოოდ კონტროლდებოდა სააქციო საზოგადოების „Sovereign Wealth Fund „Samruk-Kazyna“ მიერ (ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობის 100%-იანი მფლობელობით), რომელიც გამოსცემს საჯარო სარგებლობისთვის ხელმისაწვდომ ფინანსურ ანგარიშგებებს.

კომპანიას შესყიდვების და სავაჭრო ვალდებულებების უმრავლესობა „KMG International N.V.“-ის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ ჯგუფში შემავალი სხვა საწარმოების მიმართ აქვს (შემდგომში „მფლობელი ჯგუფი“). შედეგად კომპანია ეკონომიკურად დამოკიდებულია მფლობელ გუნდზე. ამასთან კომპანიის აქტივობები მჭიდროდ არის დაკავშირებული მფლობელი გუნდის მოთხოვნებთან და კომპანიის საფასო პოლიტიკის განსაზღვრას მფლობელ გუნდთან ერთად ახორციელებს. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები აღწერილია 21-ე შენიშვნაში.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის საქმიანობა საქართველოშია კონცენტრირებული. საქართველო ავლენს განვითარებადი ბაზრის კონკრეტულ მახასიათებლებს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციისა და მაღალ საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას და ხშირ ცვლილებებს ექვემდებარება. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება დიდწილად არის დამოკიდებული მთავრობის მიერ გატარებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საგადასახადო, სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებებთან ერთად.

2024 წელს საქართველოს ეკონომიკამ დადებითი ეკონომიკური დინამიკა უჩვენა. ამ ზრდას ხელი შეუწყო მომხმარებელთა მდგრადმა მოთხოვნამ, მათ შორის მიგრაციით განპირობებულმა ხარჯებმა, განსაკუთრებით ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, მშენებლობის, განათლების, ვაჭრობისა და ტრანსპორტის სექტორებში. ამის მიუხედავად, 2024 წელს ინფლაცია 1.9% იყო.

ხელმძღვანელობას არ შეუძლია ყველა განვითარების პროგნოზირება, რომლებსაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეთ ქართულ ეკონომიკაზე, ასევე რა ეფექტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეიძლება მათ ჰქონდეთ კომპანიის მომავალ ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ის ყველა საჭირო ღონისძიებას ატარებს კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, პირვანდელი ღირებულების წესის საფუძველზე. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. წინამდებარე პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენება ყველა წარმოდგენილ პერიოდთან მიმართებით, თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული. იხილეთ მე-5 შენიშვნა.

ფასს–ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ის ასევე ხელმძღვანელობისგან მოითხოვს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის შედგენის პროცესში განსჯის გამოყენებას. მე-4 შენიშვნაში განმარტებულია მაღალი ხარისხის განსჯის ან კომპლექსურობის მომცველი სფეროები, ან სფეროები, რომლებშიც დაშვებების და შეფასებების გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვთ ფინანსური ანგარიშგებისთვის.

ფუნქციონირებადი საწარმო

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მოკლევადიანმა ვალდებულებებმა თავის მოკლევადიან აქტივებს 5,491 აშშ დოლარით (2023 წლის 31 დეკემბერს: 14,179 აშშ დოლარი) გადააჭარბა.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 21,045 აშშ დოლარის მთლიანი მოკლევადიანი ვალდებულებებიდან 15,294 აშშ დოლარი უკავშირდება საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოსგან მარაგების შესყიდვას, ხოლო დარჩენილი 5,751 აშშ დოლარი მეტწილად საიჯარო ვალდებულებებს. მშობელმა საწარმომ დაადასტურა თავისი განზრახვა მხარი დაუჭიროს შპს „რომპეტროლ საქართველოს“ იმის უზრუნველყოფაში, რომ კომპანიამ შესძლოს თავისი ვალდებულებების დაკმაყოფილება და კომპანიის „KAZMUNAYGAS TRADING AG“ მიმართ ვალდებულებების დასაფარად, თუ ამას ეს უკანასკნელი მოითხოვს და ეს დააზიანებს კომპანიის ფინანსურ სტაბილურობას, ასევე მხარი დაუჭიროს შპს „რომპეტროლ საქართველოს“ ოპერაციებს, კომპანიის ფინანსური ანგარიშგების თარიღიდან სულ მცირე 12 თვის განმავლობაში და, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს ის დაფინანსებით.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ის შეძლებს ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

კომპანიის სამუშაო ვალუტაა შეერთებული შტატების დოლარი („აშშ დოლარი“), შემდეგი მიზეზების გამო:

- ▶ გაყიდვის ფასებზე მნიშვნელოვნად მოქმედებს შესყიდვის ფასები, რომლებიც აშშ დოლარზე არიან მიბმული „Platts“ კოტირებაზე დამოკიდებულების გამო. „Platts“ არის ენერგეტიკისა და საქონლის შესახებ ინფორმაციის წამყვანი პროვაიდერია, მისი კოტირებები ასახავენ გლობალურ ფასებს ნავთობზე, რომლით ვაჭრობაც ძირითადად აშშ დოლარში ხდება. ამ ორიენტირებს კრიტიკული მნიშვნელობა აქვს ნავთობპროდუქტების საბაზრო ფასების განსაზღვრისთვის და მას კომპანიები იყენებენ მთელს მსოფლიოში საფასო სტრატეგიების განსაზღვრისთვის;
- ▶ მარაგების უმრავლესობა საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოსგან არის შეძენილი, ხოლო ფასები განისაზღვრება აშშ დოლარის გაცვლითი კურსის გათვალისწინებით. შესყიდვის თვითღირებულება გასაყიდი ფასის მნიშვნელოვანი დრავირია ადგილობრივ ბაზარზე;
- ▶ მეორადი ინდიკატორები დამატებით ახდენენ აშშ დოლარის სამუშაო ვალუტად განსაზღვრის მხარდაჭერას, რადგან საფინანსო ოპერაციების, ძირითადად იჯარების, აშშ დოლარშია გამოხატული.

ფინანსური ანგარიშგება ამერიკის შეერთებული შტატების დოლარშია წარმოდგენილი. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია აშშ დოლარშია წარდგენილი და დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება ყველა ძირითადი საშუალების მუხლი თვითღირებულებით ფასდება, დაგროვილი ცვეთის და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

თვითღირებულება მოიცავს აქტივის შემენასთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს. კომპანიის მიერ შექმნილი აქტივის თვითღირებულება მოიცავს მასალისა და შრომის პირდაპირ დანახარჯებს და ყველა სხვა ხარჯს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება აქტივის დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის შესაბამის მდგომარეობაში მოსაყვანად, დემონტაჟის და მოხსნის ხარჯებს, ასევე იმ ტერიტორიის რეაბილიტაციის ხარჯებს, რომლებზეც ეს აქტივები მდებარეობს და ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ კაპიტალიზებულ დანახარჯებს. შეძენილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აუცილებელია შესაბამისი აღჭურვილობის ფუნქციონირებისთვის, კაპიტალიზდება როგორც ამ აღჭურვილობის განუყოფელი ნაწილი.

თუ ძირითადი საშუალებების მუხლის მნიშვნელოვან ნაწილებს განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხებიან ძირითადი საშუალებების ცალკე მუხლების (მნიშვნელოვანი კომპონენტები) სახით.

ყველა შემოსვლა ძირითად საშუალებებში თავდაპირველად აღირიცხება, როგორც დაუმთავრებელი მშენებლობა და შემდგომში რეკლასიფიცირდება ძირითადი საშუალებების შესაბამის კატეგორიებად.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი ძირითადი საშუალებების მუხლის გასვლიდან განისაზღვრება გასვლიდან მიღებული შემოსულობის ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებასთან შედარების გზით და აღიარდება მოგება-ზარალში წმინდა სახით, სხვა შემოსავლის/სხვა ხარჯების მუხლში.

შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლის თვითღირებულების აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს ამ კომპონენტის თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ მისი თვითღირებულების სარწმუნოდ შეფასება შეიძლება. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ტექნიკური მომსახურების ყოველდღიური დანახარჯების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მისი დადგომისთანავე.

ცვეთა

ძირითადი საშუალებების მუხლებს ცვეთა ერიცხებათ იმ თარიღიდან, როდესაც ისინი დამონტაჟდება ან გამოსაყენებლად მზა მდგომარეობაში მოვა, ან, ადგილობრივად შექმნილი აქტივებისთვის, იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი დასრულდება და მზად იქნება გამოსაყენებლად. ცვეთა ეფუძნება აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების საფუძველზე. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვს, მისი ცვეთა განცალკევებით ხორციელდება.

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგანაც ეს ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. საიჯარო აქტივებს ცვეთა ერიცხებათ იჯარის ვადასა და მათ სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირეს პერიოდზე, სანამ გონივრულად აშკარა არ გახდება, რომ კომპანია მიიღებს საკუთრების უფლებას იჯარის ვადის დასრულებისას. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ცვეთა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი მუხლების სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადები მიმდინარე პერიოდისთვის შემდეგია:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობები და სხვა ნაგებობები	5–50 წელი
მანქანა–დანადგარები და სავაჭრო აღჭურვილობა	2–39 წელი
	სასარგებლო მომსახურების ვადასა (2–16 წელი) და იჯარის ვადას შორის
საიჯარო ქონების გაუმჯობესება	უმოკლესი
საოფისე აღჭურვილობა	2–24 წელი
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5–15 წელი

ცვეთის მეთოდები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ნარჩენი ღირებულება ყოველი საანგარიშგებო თარიღში გადაისინჯება და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად კორექტირდება.

მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება ეფუძნება საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და მოიცავს მარაგების შესყიდვისას გაწეულ დანახარჯებს, მათ შორის საქონლის შესყიდვის აქციზის გადასახადს და არსებულ ადგილმდებარეობამდე (საბითუმო ვაჭრობა – საბითუმო ბაზები, ხოლო საცალო გაყიდვებისთვის – ბენზინგასამართი სადგურები) და მდგომარეობაში მათ მოსაყვანად გაწეულ სხვა დანახარჯებს. მარაგების თვითღირებულება არ მოიცავს ბენზინგასამართი სადგურებისა (მათ შორის აქტივების გამოყენების უფლების) და ძირითადი საშუალებების ცვეთას, ასევე დასაქმებულ პირთა სარგოს და გასამრჯელოს ხარჯს, რადგან ამ დანახარჯების გაწევა ხდება ადმინისტრაციული მიზნებისთვის ან კომპანიის სადისტრიბუციო ქსელის, ე.ი. ბენზინგასამართი სადგურების სამართავად.

გაყიდული საქონლის თვითღირებულება, მარაგების თანხა, რომელიც პერიოდის ხარჯის სახით აღიარდება, მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც ადრე შესული იყო მარაგების შეფასებაში. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის დასრულების და გაყიდვის ხარჯებით შემცირებული სავარაუდო გასაყიდი ფასები ჩვეული საქმიანობის პროცესში.

ფინანსური ინსტრუმენტები – აღიარება და საწყისი შეფასება

საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება, როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. კომპანია არ ფლობს სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებულ ფინანსურ აქტივებს.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები – ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდგომ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობა და ზარალი მოგება–ზარალში აღიარდება მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

კომპანიის ფინანსური აქტივები ფინანსური აქტივების შემდეგი კლასებისგან შედგება: სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (მე–13 შენიშვნა) და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები (მე–14 შენიშვნა).

ფინანსური ვალდებულებები – კლასიფიკაცია, შემდგომი შეფასება და შემოსულობა და ზარალი

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულად ან სამართლიანი ღირებულებით შეფასებულად მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფინანსური ვალდებულება კლასიფიცირდება, როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით, თუ ის კლასიფიცირებულია სავაჭროდ გამიზნულად, არის წარმოებული ან ამგვარად განსაზღვრულია საწყისი აღიარებისას. სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულება მოგებაში ან ზარალში ასახვით ფასდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო წმინდა შემოსულობა და ზარალი, საპროცენტო ხარჯის ჩათვლით, მოგება–ზარალში აღიარდება. სხვა ფინანსური ვალდებულებები შემდგომი ამორტიზებული ღირებულებით ფასდება, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი და საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა და ზარალი მოგება–ზარალში აღიარდება. აღიარების შეწყვეტისას ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი ასევე აღიარდება მოგება–ზარალში.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და საიჯარო ვალდებულებებს.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია ფინანსურ აქტივებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის რეზერვს ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხავს. ზარალის რეზერვი ჩვეულებრივ უტოლდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, გარდა დაბალი საკრედიტო რისკის მქონე სავალო ფასიანი ქაღალდებისა და ბანკში არსებული კონკრეტული ნაშთებისა, რომლებიც 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით ფასდება. სავაჭრო მოთხოვნები და სახელშეკრულებო აქტივები ყოველთვის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით ფასდება.

საკრედიტო რისკისა და მოსალოდნელი სავარაუდო საკრედიტო ზარალის ზრდის შესაფასებლად კომპანია შესაბამის და ხელმისაწვდომ ინფორმაციას, ასევე განვილილ გამოცდილებას და საპროგნოზო მონაცემებს იყენებს. მიიჩნევა, რომ 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილების შემთხვევაში ფინანსურ აქტივზე საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდება.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად ითვლება, თუ მსესხებელი ვერ შეასრულებს ვალდებულებებს, ან მას ექნება 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება. სავალო ფასიანი ქაღალდები კლასიფიცირდება დაბალი საკრედიტო რისკის მატარებლად, თუ ისინი აკმაყოფილებენ „საინვესტიციო საფეხურის“ განმარტებას.

კომპანია აფასებს არიან თუ არა ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში აღრიცხული სავალო ფასიანი ქაღალდები გაუფასურებული ყოველ საანგარიშგებო თარიღში. კრედიტის გაუფასურების ინდიკატორები მოიცავს მსესხებლის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, ხელშეკრულების დარღვევას, სესხის რესტრუქტურისაციას, შესაძლო გაკოტრებას ან აქტიური ბაზრის დაკარგვას.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის ზარალის რეზერვი დაიქვითება მათი მთლიანი საბალანსო ღირებულებიდან, ხოლო სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახული სავალო ფასიანი ქაღალდები ირიცხება მოგება-ზარალში და სხვა სრულ შემოსავალში აღიარდება.

ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მაშინ, როდესაც აღდგენა სავარაუდო არ იქნება. ინდივიდუალური მომხმარებლებისთვის ამას ადგილი აქვს აქტივის 180-დღიანი ვადაგადაცილების შემთხვევაში. კორპორაციული მომხმარებლებისთვის შეფასება ინდივიდუალურად ხორციელდება, ჩამოწერის ვადებსა და თანხებთან მიმართებით, მოსალოდნელი მნიშვნელოვანი აღდგენის გარეშე. თუმცა, ჩამოწერილი აქტივები კვლავ შეიძლება ექვემდებარებოდეს აღდგენას.

არაფინანსური აქტივები

კომპანიის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, მარაგების გარდა, ყოველ საანგარიშგებო თარიღში გადაიხედება, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე მაჩვენებელი. ამგვარი მაჩვენებლის არსებობის შემთხვევაში, ფასდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება. გაუფასურების ზარალის აღიარდება ხდება მაშინ, თუ აქტივის და მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის სავარაუდო ანაზღაურებად ღირებულებას.

გაუფასურების ტესტირების მიზნებისთვის, აქტივები, რომელთა ინდივიდუალურად ტესტირება შეუძლებელია, ჯგუფდება უწყვეტი გამოყენებიდან ფულადი ნაკადების წარმომქმნელი აქტივების უმცირეს ჯგუფად, რომლებიც დიდწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის (CGU) ფულადი ნაკადებისგან.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესით გამოყენების ღირებულებას და გასაყიდი თვითღირებულებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის. გამოყენების ღირებულების განსაზღვრისას, შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

არაფინანსური აქტივები (გაგრძელება)

გაუფასურების ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალში. გაუფასურების ზარალი, რომელიც აღიარდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში (ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულების ჯგუფი) აქტივების საბალანსო ღირებულებების შესამცირებლად პროპორციულ საფუძველზე.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ყოველ საანგარიშგებო თარიღში ფასდება ზარალის შემცირების ან მისი საერთოდ არარსებობის ნებისმიერი ინდიკატორის არსებობაზე. გაუფასურების ზარალის აღდგენა ხდება იმ შემთხვევაში, თუ ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრაში გამოიყენება ცვლილება შეფასებებში. გაუფასურების ზარალი აღდგება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ გადააჭარბებს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთის ან ამორტიზაციის გამოკლებით, თუ გაუფასურების ზარალი არ აღიარდებოდა.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის გაცხადებული საწესდებო კაპიტალის რაოდენობას კომპანიის პარტნიორი განსაზღვრავს. კომპანიის გაცხადებული კაპიტალის ცვლილება უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის პარტნიორის გადაწყვეტილების საფუძველზე.

იჯარები

ხელშეკრულების წამოწყებისას კომპანია აფასებს ხელშეკრულება არის ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება არის ან მოიცავს იჯარას, თუ ის გადასცემს იდენტიფიცირებული აქტივების სარგებლობის კონტროლის უფლებას დროის კონკრეტულ მომენტში, საზღაურის სანაცვლოდ.

როგორც მოიჯარე

იჯარის კომპონენტის შემცველი ხელშეკრულების დაწყების ან მოდიფიცირებისას, კომპანია ხელშეკრულებებში საზღაურს ანაწილებს იჯარის თითოეულ კომპონენტზე მისი შესაბამისი ინდივიდუალური ფასების საფუძველზე. თუმცა ქონების იჯარებისთვის კომპანიამ გადაწყვიტა არ გამოეყო არა იჯარის კომპონენტები და იჯარის და არა იჯარის კომპონენტების აღრიცხვა განხორციელდებინა ერთ იჯარის კომპონენტში.

კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებას იჯარის ვადის დაწყების თარიღში. აქტივის გამოყენების უფლება თავდაპირველად თვითღირებულებით ფასდება, რაც მოიცავს საიჯარო ვალდებულების საწყის თანხას, რომელიც კორექტირდება იჯარის ვადის დაწყების თარიღში ან მანამდე განხორციელებული ნებისმიერი საიჯარო გადახდით, რასაც ემატება ნებისმიერი საწყისი პირდაპირი დანახარჯები და საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და გატანის ან საიჯარო აქტივის ან იმ ადგილის აღდგენის სავარაუდო დანახარჯები, რომელზეც განთავსებულია აქტივი.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

როგორც მოიჯარე (გაგრძელება)

აქტივის გამოყენების უფლებას შემდგომში ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდის გამოყენებით იჯარის ვადის დაწყებიდან მის დასრულებამდე, სანამ იჯარა გადასცემს საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლებას კომპანიას იჯარის ვადის ბოლოსთვის ან აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება ასახავს ფაქტს, რომ კომპანია ისარგებლებს შესყიდვის შესაძლებლობით. ასეთ შემთხვევაში აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა დაერიცხება საიჯარო აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაზე, რომელიც განისაზღვრება იგივე საფუძველზე, როგორც ძირითადი საშუალებები. ამასთან, აქტივის გამოყენების უფლება პერიოდულად მცირდება გაუფასურების ზარალით, ასეთის არსებობის შემთხვევაში, და კორექტირდება საიჯარო ვალდებულების კონკრეტული გადაფასებით.

იჯარის ვალდებულება თავდაპირველად საიჯარო ვალდებულებების დღევანდელი ღირებულებით ფასდება, რომლებიც არ გადაიხდება იჯარის ვადის დაწყების თარიღში, დისკონტირდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ან, თუ ამგვარი განაკვეთი ვერ განისაზღვრება, კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთით. ზოგადად, კომპანია დისკონტირების განაკვეთის სახით ზღვრულ სასესხო განაკვეთს იყენებს.

კომპანიამ გადაწყვიტა ერთი დისკონტირების განაკვეთის გამოყენება მსგავსი მახასიათებლების მქონე იჯარების პორტფელზე. კომპანიამ გადაწყვიტა გამოეყენებინა მსგავსი მახასიათებლების მქონე იჯარების აღრიცხვის პორტფელი. საიჯარო ვალდებულების შეფასებაში გამოყენებული საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს, არსებითად ფიქსირებული გადასახდელების ჩათვლით.

საიჯარო ვალდებულებები შემდგომში იზრდება საპროცენტო ხარჯით საიჯარო ვალდებულებაზე და მცირდება განხორციელებული საიჯარო გადახდების ოდენობით. საიჯარო ვალდებულება ამორტიზებული ღირებულებით ფასდება, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ის განმეორებით ფასდება, თუ კომპანია შეცვლის შეფასებას იმისა, რას გამოიყენებს ის – შესყიდვის, გახანგრძლივების ან შეწყვეტის უფლებას, ან ხომ არ არის შეცვლილი არსებითი ფიქსირებული საიჯარო გადახდა.

საიჯარო ვალდებულების განმეორებით შეფასებისას, შესაბამისი კორექტირება ხორციელდება აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულებაში ან აღირიცხება მოგება-ზარალში, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება ნულამდე შემცირდება. იჯარის ვადა ასახავს კომპანიის მიერ იმ პერიოდის გონივრულ შეფასებას, რომლის განმავლობაშიც მოხდება საიჯარო აქტივის გამოყენება. იჯარის ვადის განსაზღვრებისას კომპანია თავის განსჯას აფუძნებს ხელშეკრულების და საიჯარო აქტივის უფრო ფართო ეკონომიკურ ფაქტორებზე და არა მხოლოდ სახელშეკრულებო პირობებზე და დაუშვებს ისეთ ფაქტორებს, როგორიც არის ეკონომიკური ჯარიმები, იჯარის განახლების საკანონმდებლო მიდგომა, ცვლილებები რეგულირებაში და კომპანიის დამატებითი ბიზნეს გეგმები, რომლებიც ეფექტურად გამოიყენება იჯარის ვადის შეფასებაში.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მოკლევადიანი იჯარა და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა

კომპანიამ გადაწყვიტა არ მოეხდინა აქტივების გამოყენების უფლების და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარისა და მოკლევადიანი იჯარებისთვის საიჯარო ვალდებულებების აღიარება. კომპანია ხარჯის სახით აღიარებს ამ იჯარებთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს წრფივი მეთოდის საფუძველზე იჯარის ვადის განმავლობაში.

მიღებული ავანსები და გადავადებული ამონაგები

მიღებული ავანსები უკავშირდება მომხმარებლებზე საწვავის მიყიდვას. მიღებული საზღაური თავდაპირველად აღიარდება ვალდებულების სახით, როდესაც მომხმარებლები განახორციელებენ გადახდებს, ხოლო ამონაგები აღიარდება საქონლის გადაცემისას. ამონაგების აღიარებასთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკა განხილულია ქვემოთ.

ანარიცხები

ანარიცხის აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ განვლილი შემთხვევის შედეგად კომპანიას აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება, რომელიც შესაძლოა საიმედოდ შეფასდეს და სავარაუდოა, რომ ვალდებულების დასაფარად საჭიროა ეკონომიკური სარგებლის გადინება. ანარიცხები განისაზღვრება მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით დაბეგვრამდე განაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და ვალდებულების შესაბამის რისკებს. დისკონტირების გაუქმება ფინანსურ დანახარჯებში აღიარდება.

ამონაგების აღიარება

ამონაგები არის შემოსავალი, რომელიც წარმოიქმნება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში. ამონაგების აღიარება ხდება გარიგების ფასის თანხაში. გარიგების ფასი არის ანაზღაურების თანხა, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის კლიენტისთვის დაპირებულ საქონელზე კონტროლის გადაცემის ან მომსახურების გაწევის სანაცვლოდ, გარდა მესამე მხარეების სახელით მიღებული თანხებისა. ამონაგების აღიარება ხდება დისკონტირების, უკუგებისა და დამატებული ღირებულების გადასახადის გამოკლებით.

საქონლის გაყიდვა

კომპანიის მომხმარებლები შესაძლოა დაიყოს საცალო ვაჭრობის და საბითუმო ვაჭრობის მომხმარებლებად. ამონაგები გაყიდვებიდან აღიარდება საქონელზე კონტროლის გადაცემისას, რასაც ადგილი აქვს საქონლის მომხმარებლისთვის მიწოდებისას, მომხმარებელი იღებს სრულ უფლებას საქონელზე და არ დარჩება შეუსრულებელი ვალდებულება, რომელმაც შესაძლოა ნეგატიურად იმოქმედოს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხდება მაშინ, როდესაც პროდუქტები მომხმარებლის ტრანსპორტში განთავსდება ან საბითუმო ვაჭრობის შემთხვევაში, დატოვებს ნავთობბაზას. ამონაგები ყველა საქონლის გაყიდვიდან აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში. საშუალოდ საკრედიტო პერიოდი მოიცავს საქონლის გადაცემიდან 30 დღეს. ამონაგები აღიარდება ისეთი ოდენობით, რომელიც ასახავს იმ საზღაურს, რომლის მიღებასაც კომპანია გეგმავს ამგვარი საქონლის სანაცვლოდ. ამონაგები საქონლის ფასდაკლებით რეალიზაციიდან აღიარდება ხელშეკრულებაში მითითებული ფასის საფუძველზე, მოსალოდნელი მოცულობითი ფასდაკლებების გამოკლებით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მომხმარებლის ლოიალობის პროგრამა

კომპანიაში მოქმედებს ლოიალობის პროგრამები ორივე ტიპის მომხმარებლისთვის, სადაც მომხმარებლები უფლებამოსილი არიან განახორციელონ ფასდაკლებები მომავალ შესყიდვებზე, ადრე განხორციელებული შესყიდვების მოცულობაზე დაყრდნობით. ფასდაკლებების შეფასებისა და უზრუნველყოფისთვის გამოყენება დაგროვილი გამოცდილება, მოსალოდნელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით, ხოლო ამონაგები აღიარდება იმ ფარგლებში, როდესაც არსებობს მნიშვნელოვანი გაუქმების მაღალი ალბათობა. გადავადებული ამონაგები (რომელიც შესულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში) აღიარდება მოსალოდნელი მოცულობითი ფასდაკლებებისთვის, რომლებსაც მომხმარებლებს გადაუხდიათ საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღამდე განხორციელებულ ვაჭრობასთან დაკავშირებით.

ფინანსური შემოსავალი და დანახარჯები

კომპანიის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური დანახარჯები მოიცავს შემდეგს:

- ▶ საპროცენტო ხარჯი;
- ▶ საპროცენტო შემოსავალი საბანკო ნაშთებზე;
- ▶ უცხოურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი ფინანსურ აქტივებზე და ფინანსურ ვალდებულებებზე;
- ▶ ჯარიმები გადახდის დაგვიანებისთვის.

საპროცენტო შემოსავლის ან ხარჯის აღიარება ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. „ეფექტური საპროცენტო განაკვეთი“ არის ის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მოსალოდნელ სამომავლო ფულად გადახდებს ან მიღებულ ფულად სახსრებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

- ▶ ფინანსური აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება; ან
- ▶ ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება.

საპროცენტო შემოსავლის და ხარჯის დაანგარიშებისას გამოიყენება ეფექტური საპროცენტო განაკვეთი აქტივის (როდესაც აქტივი არ არის გაუფასურებული) მთლიან საბალანსო ღირებულებასთან ან ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებასთან მიმართებაში. თუმცა, ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც გაუფასურდა საწყისი აღიარების შემდეგ, საპროცენტო შემოსავალი დაანგარიშდება ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ აქტივი აღარ არის გაუფასურებული, საპროცენტო შემოსავლის დაანგარიშება ბრუტო საფუძველს უბრუნდება.

უცხოურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობისა და ზარალის გაცხადება ნეტო საფუძველზე ხდება ფინანსურ შემოსავლად ან ფინანსურ დანახარჯებად, იმის მიხედვით, უცხოური ვალუტის ცვლილების დინამიკა ნეტო შემოსულობის პოზიციაზეა, თუ ნეტო ზარალის.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები კომპანიის სამუშაო ვალუტაში კონვერტირდება, ოპერაციის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით.

დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დასაქმებულთა მოკლევადიანი გასამრჯელოს ვალდებულებები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და აღირიცხება მაშინ, როდესაც მოხდება შესაბამისი მომსახურების გაწევა. ვალდებულება აღიარდება იმ თანხაზე, რომლის მიღებაც მოსალოდნელია მოკლევადიანი ფულადი პრემიის ან მოგებაში მონაწილეობის გეგმების ფარგლებში, თუ კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს თანხა დასაქმებულის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად. ამგვარი ვალდებულება შესაძლოა საიმედო სიზუსტით შეფასდეს.

იმის გათვალისწინებით, რომ სოციალურ პროგრამებში განხორციელებული კომპანიის შენატანები დიდწილად საზოგადოების სარგებელს წარმოადგენს და არ ეზღუდებათ კომპანიის თანამშრომლებს, ისინი მოგება-ზარალში გაწევისთანავე აღიარდება.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს. მიმდინარე გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მოსალოდნელ საგადასახადო ვალდებულებას წლის დასაბეგრ შემოსავალზე, საგადასახადო განაკვეთების გამოყენებით, რომელიც მოქმედებს ან არსებითად ამოქმედებულია საანგარიშგებო თარიღში დან საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერ კორექტირებას წინა წელთან მიმართებით. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ასევე მოიცავს დივიდენდებიდან წარმოშობილ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2017 წლიდან საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრა მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე გადაიწია; ე.ი. მთავარი საგადასახადო ობიექტია განაწილებული შემოსავლები. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განაწილებულ შემოსავლებს განსაზღვრავს, როგორც აქციონერებზე დივიდენდის სახით განაწილებულ მოგებას. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც მოხდება დივიდენდების გადახდა.

თუმცა, რამდენიმე სხვა ოპერაცია ასევე მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არა გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით ჩატარებული ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან ასევე მიიჩნევა განაწილებულ მოგებად საშემოსავლო გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან, საგადასახადო ობიექტი მოიცავს ხარჯებს ან სხვა გადახდებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებას და წარმომადგენლობით ხარჯებს, რომლებიც დადგენილ ლიმიტებს აღემატება.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს საშემოსავლო გადასახადის დარიცხვას გარკვეულ ოპერაციებზე, რომლებიც საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებებს და ისეთ წარმომადგენლობით ხარჯებს უკავშირდება, რომლებიც დადგენილ ლიმიტებს აღემატება. კომპანია ამგვარი ოპერაციების დაბეგვრას ბასს (IAS) 12-ის (მოგებიდან გადასახადები) მიღმა განიხილავს და ამგვარ მუხლებზე გადასახად აღირიცხავს, როგორც სხვა გადასახადებს მოგების გადასახადის გარდა.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადის საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდა ხდება საქონლის და მომსახურებების მომხმარებლებისთვის მიწოდებისას. შესყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი ჩვეულებრივ ამოღებადია გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადით, დღ-ის ინვოისის მიღებისას. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღ-ის დაფარვას ნეტო საფუძველზე. ყიდვა-გაყიდვებთან დაკავშირებული დღ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ნეტო საფუძველზე. როდესაც იქმნება მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება დებიტორის საერთო თანხასთან მიმართებით, დღ-ის ჩათვლით.

რეკლასიფიკაციები

ქვემოთ მოცემული რეკლასიფიკაციები განხორციელდა 2023 წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე, მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაზე 2024 წლის პრეზენტაციასთან შესაბამისობისთვის:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება:

	ადრე გაცხადებული რაოდენობით	რეკლასიფიკაცია	რეკლასიფი- ცირებული ოდენობით
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,644	(366)	5,278
გადახდილი ავანსი	–	366	366
სულ მოკლევადიანი აქტივები	23,351	–	23,351
სულ აქტივები	54,850	–	54,850
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	33,356	(1,078)	32,278
მიღებული ავანსები	–	1,078	1,078
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	37,530	–	37,530
სულ ვალდებულებები	54,267	–	54,267

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება:

	ადრე გაცხადებული რაოდენობით	რეკლასიფიკაცია	რეკლასიფიცი- რებული ოდენობით
სხვა საოპერაციო შემოსავალი/(ხარჯები), წმინდა	88	(88)	–
სხვა საოპერაციო შემოსავალი	–	459	459
სხვა საოპერაციო ხარჯები	–	(371)	(371)
ზარალი დაბეგვრამდე	(2,551)	–	(2,551)
წლის ზარალი	(2,551)	–	(2,551)
წლის სხვა მთლიანი სრული ზარალი	(2,551)	–	(2,551)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

რეკლასიფიკაციები (გაგრძელება)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება:

	ადრე გაცხადებული რაოდენობით	რეკლასიფიკაცია	რეკლასიფი- ცირებული ოდენობით
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე	5,301	–	5,301
ცვლილება შემდეგ მუხლებში:			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(631)	(213)	(844)
გადახდილი ავანსი	–	213	213
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(586)	307	(279)
მიღებული ავანსები	–	(307)	(307)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	3,632	–	3,632
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(511)	–	(511)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(2,955)	–	(2,955)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	1,745	–	1,745

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა, შეფასება და დაშვება

ფინანსური ანგარიშგების ფასს (IFRS) სტანდარტების შესაბამისად მომზადება ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს მოსაზრებების, შეფასებებისა და დაშვების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაზე და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების გაცხადებული თანხებზე. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდნენ ამ შეფასებებისგან.

შეფასებები და თანმდევნი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. გადასინჯული სააღრიცხვო შეფასებები აღიარდება იმ პერიოდში, რომელშიც ხდება შეფასებების გადასინჯვა და ნებისმიერ მომავალ პერიოდებში, რომლებზეც მათ აქვთ გავლენა.

შემდეგ შენიშვნებში შესულია ინფორმაცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაში მნიშვნელოვანი განსჯის შესახებ, რომელსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე:

- ▶ 1–ლი შენიშვნა – დამოკიდებულება მფლობელ ჯგუფზე;
- ▶ მე–3 შენიშვნა – კომპანიის სამუშაო ვალუტის განსაზღვრა.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა, შეფასება და დაშვება (გაგრძელება)

გრძელვადიანი აქტივების გაუფასურების ინდიკატორების შეფასება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ შეაფასა გრძელვადიანი აქტივების გაუფასურების შიდა და გარე ინდიკატორები ფულადი სახსრების წარმომქმნელი თითოეული ერთეულისთვის, რომლებიც ორიენტირებული იყო ფიზიკური დაზიანების, საბაზრო ფასის ცვლილების, ტექნოლოგიური მოძვლებების და შიდა განაკვეთების ზრდის არსებობაზე. კომპანიამ ასევე შეაფასა ინფორმაციის შიდა წყაროები, როგორც არის მიმდინარე პერიოდის შესრულების მაჩვენებლები ფულადი სახსრების წარმომქმნელი თითოეული ერთეულისთვის, ბიუჯეტთან მიმართებით, გაყიდული ნავთობპროდუქტების მოცულობის, გასაყიდი ფასების და საოპერაციო ხარჯების გათვალისწინებით. ამ შეფასების შედეგად, რაც მოიცავდა მნიშვნელოვან განსჯას, ხელმძღვანელობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ დაუფიქსირებია ძირითადი საშუალებების პოტენციური გაუფასურება.

5. ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები

კომპანიამ პირველად გამოიყენა კონკრეტული სტანდარტები და ცვლილებები, რომლებიც ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს და ამ თარიღის შემდეგ დაწყებული ყოველწლიური პერიოდებისთვის. კომპანიას ვადაზე ადრე არ მიუღია რომელიმე სხვა სტანდარტი, ინტერპრეტაცია ან შესწორება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ძალაში არ არის შესული.

შემდეგი ცვლილებები და ინტერპრეტაციები პირველად იქნა გამოყენებული 2024 წელს:

- ▶ ფასს (IFRS) 16–ის ცვლილებები: საიჯარო ვალდებულება გაყიდვებსა და უკუიჯარაში;
- ▶ ბასს (IAS) 1–ის ცვლილებები: ვალდებულებების მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიცირება;
- ▶ მიმწოდებლის ფინანსური გარიგებები – ბასს (IAS) 7–ის და ფასს (IFRS) 7–ის ცვლილებები;

ეს ცვლილებები და ინტერპრეტაციები პირველად იქნა გამოყენებული 2024 წელს, თუმცა მათ არ ჰქონიათ გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ახალი და შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცების თარიღში კომპანიას არ გამოუყენებია ახალი ან გადასინჯული ფასს სტანდარტები, რომლებიც გამოცემულია, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული და აღწერილია ქვემოთ. კომპანია ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

- ▶ ბასს (IAS) 21–ის ცვლილებები: „ურთიერთგაცვლის შესაძლებლობის არარსებობა“ – (ძალაშია 2025 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღით დაწყებული საანგარიშგებო პერიოდისთვის);

5. ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

ახალი და შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

მოსალოდნელი არ არის რომ ამ ცვლილებებს არსებითი გავლენა ექნებათ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ▶ ფასს (IFRS) 18: „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები“ – (ძალაშია 2027 წლის 1 იანვრიდან);

2024 წლის აპრილის თვეში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა ფასს (IFRS) 18, რომელიც ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 1–ს („ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა“). ფასს (IFRS) 18 ადგენს მოგებისა და ანგარიშგების ფარგლებში ინფორმაციის წარდგენის, მათ შორის ჯამების და ქვეჯამების მითითების ახალ მოთხოვნებს. გარდა ამისა, საწარმოები ვალდებული არიან მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში განახორციელონ ყველა შემოსავლის და ხარჯის კლასიფიცირება ხუთი კატეგორიიდან ერთ–ერთით: საოპერაციო, საინვესტიციო, საფინანსო, მოგების გადასახადი და შეწყვეტილი ოპერაციები, საიდანაც პირველი სამი ახალი კატეგორიაა.

ის ასევე მოითხოვს ახლად განსაზღვრული ხელმძღვანელობის მიერ არჩეული შესრულების მაჩვენებლების საზომების – შემოსავლისა და ხარჯების ქვეჯამების გამჟღავნებას, ასევე ახალ მოთხოვნებს ფინანსური ინფორმაციის აგრეგირების და დეზაგრეგირების შესახებ, საწყის ფინანსურ ანგარიშგებებსა და განმარტებით შენიშვნებში გამოვლენილი „როლების“ საფუძველზე.

ამასთან, მცირემასშტაბიანი ცვლილებები განხორციელდა ბასს (IAS) 7–ში („ფულადი ნაკადების ანგარიშგება“), რაც მოიცავს ოპერაციებიდან ფულადი ნაკადების განსაზღვრის საწყისი წერტილის ცვლილებას არაპირდაპირი მეთოდის ფარგლებში, „მოგება–ზარალიდან“ „საოპერაციო მოგება–ზარალზე“; ასევე ფულადი ნაკადების ანაზრებიდან და პროცენტიდან კლასიფიკაციასთან დაკავშირებული შერჩევითობის გაუქმებას. ამასთან, განხორციელდა რამდენიმე სხვა სტანდარტის შედეგობრივი ცვლილებებიც.

ფასს (IFRS) 18 და სხვა სტანდარტების ცვლილებები ძალაშია 2027 წლის 1 იანვრიდან ან ამ თარიღით დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის. დასაშვებია ვადაზე ადრე მიღება, რაც აუცილებლად უნდა იყოს გაცხადებული. ფასს (IFRS) 18–ის გამოყენება რეტროსპექტულად მოხდება.

დღეისათვის კომპანია მუშაობს ცვლილებების ყველა გავლენის გამოვლენაზე, რომლებსაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეთ ფინანსურ ანგარიშგებებზე ან ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებზე.

- ▶ ფასს (IFRS) 19: შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე – (ძალაშია 2027 წლის 1 იანვრით დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის)

5. ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

ახალი და შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

2024 წლის მაისის თვეში, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა ფასს (IFRS) 19, რომელიც უფლებამოსილ საწარმოს საშუალებას აძლევს აირჩიოს გამოიყენოს ინფორმაციის გამჟღავნების შეზღუდული მოთხოვნები და ამავდროულად გამოიყენოს აღიარების, შეფასებისა და წარდგენის მოთხოვნები სხვა ფასს (IFRS) სააღრიცხვო სტანდარტებში. უფლებამოსილებისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღისთვის საწარმო უნდა იყოს შვილობილი საწარმო ფასს (IFRS) 10-ის შესაბამისად, არ უნდა ჰქონდეს საჯარო ანგარიშვალდებულება და უნდა ჰყავდე მშობელი საწარმო (საბოლოო ან შუალედური), რომელიც ამზადებს საჯაროდ ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს ფასს სააღრიცხვო სტანდარტების შესაბამისად.

ფასს (IFRS) 19 ძალაში შევა 2027 წლის 1 იანვრიდან ან ამ თარიღით დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადამდელი გამოყენება.

კომპანია შეაფასებს თავის უფლებამოსილებას ფასს (IFRS) 19-ის საფუძველზე და სტანდარტის მიღების შემთხვევაში, მის პოტენციურ გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

6. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

კომპანია ამონაგებს იღებს საქონლის გადაცემიდან დროის კონკრეტულ მომენტში შემოსავლის შემდეგი მთავარი წყაროებიდან:

ათას აშშ დოლარში	2024	2023
ამონაგები საწვევის საცალო გაყიდვიდან	167,804	172,037
ამონაგები საწვევის საბითუმო გაყიდვიდან	76,823	60,673
ამონაგები მაღაზიებში განხორციელებული გაყიდვებიდან	48	58
სულ	244,675	232,768

სახელშეკრულებო ნაშთი

შემდეგ ცხრილში მოცემულია ინფორმაცია მომხმარებლებთან ხელშეკრულებებიდან მოთხოვნებისა და სახელშეკრულებო ვალდებულებების შესახებ.

ათას აშშ დოლარში	შენიშვნა	2024	2023
სავაჭრო მოთხოვნები	13	4,155	5,213
მიღებული ავანსები	18	(1,040)	(1,078)
გადავადებული ამონაგები		(685)	(730)

6. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან (გაგრძელება)**სახელშეკრულებო ნაშთი (გაგრძელება)**

სავაჭრო მოთხოვნების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საზღაურის მიღების უფლება უპირობო ხდება. სავაჭრო მოთხოვნები ნავთობპროდუქტების გაყიდვიდან ლარშია გამოხატული და მათი ვადა ზოგადად საშუალოდ 30 დღეს შეადგენს. არცერთ სავაჭრო მოთხოვნას პროცენტი არ ერიცხება.

გადავადებული ამონაგები, რომელიც მომხმარებლებისგან მიღებულ საზღაურს მოიცავს და წარმოადგენს კომპანიის ვალდებულებას საქონელი და მომსახურებები გადასცეს ამ მომხმარებლებს, 730 აშშ დოლარს (2023 წ.: 803 აშშ დოლარი) შეადგენს. ის შესული იყო გადავადებულ ამონაგებში საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში 2024 წლის განმავლობაში ამონაგების სახით.

7. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

ათას აშშ დოლარში	2024	2023
გაყიდული საწვავის თვითღირებულება	217,517	215,877
მაღაზიაში გაყიდული საქონლის თვითღირებულება	40	100
სულ	217,557	215,977

8. სადისტრიბუციო დანახარჯები

ათას აშშ დოლარში	2024	2023
დასაქმებულთა სარგოს და სარგებლის ხარჯი	4,951	4,048
ცვეთის ხარჯი	4,804	4,775
საიჯარო ხარჯი	882	866
რემონტის და ტექმომსახურების ხარჯი	462	516
კომუნალური დანახარჯები	274	270
სხვა	299	312
სულ	11,672	10,787

9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ათას აშშ დოლარში	2024	2023
ბანკის საკომისიო გადახდები	1,636	1,644
პროგრამული უზრუნველყოფის ტექმომსახურება	1,239	1,562
დასაქმებულთა სარგოს და სარგებლის ხარჯი	790	1,006
ცვეთის ხარჯი	316	254
საიჯარო ხარჯი	280	57
პროფესიული მომსახურების ხარჯი	126	351
მართვის მომსახურების ღირებულება	104	207
ამორტიზაციის ხარჯები	59	72
სხვა	634	715
სულ	5,184	5,868

9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები (გაგრძელება)

პროფესიული მომსახურების ხარჯი მოიცავს 34 აშშ დოლარის (2023 წ.: 33 აშშ დოლარი) ოდენობით საზღაურს აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ გაწეული მომსახურების საზღაურს, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

10. ფინანსური შემოსავალი და ფინანსური დანახარჯები

ათას აშშ დოლარში	2024	2023
საკუროსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა, წმინდა	19	115
საპროცენტო შემოსავალი საბანკო ანაზღაურებზე	79	70
ფინანსური შემოსავალი	98	185
ფასს (IFRS) 16-ის ფარგლებში დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(1,430)	(1,505)
ჯარიმები გადახდის დაგვიანებისთვის	(1,210)	(1,455)
ფინანსური დანახარჯები	(2,640)	(2,960)

შპს „რომპეტროლ საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2024 წლის 31 დეკემბერი
(ათას აშშ დოლარში)

11. ძირითადი საშუალებები

ათას აშშ დოლარში	მიწა	შენობა– ნაგებობები	მანქანა– დანადგარები და სავაჭრო აღჭურვილობა	საიჯარო ქონების გაუმჯობესება	საოფისე აღჭურვილობა	ავტოსატრანსპორტო საშუალებები	დაუმთავრებელი მშენებლობა და დაუმონტაჟებელი აღჭურვილობა	სულ
თვითღირებულება								
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,852	8,445	10,371	1,925	762	142	331	23,828
შემოსვლები	–	–	–	–	–	–	863	863
გადატანა	–	26	598	238	52	–	(914)	–
გასვლა/ჩამოწერა	–	–	(1,653)	(97)	(221)	(100)	(153)	(2,224)
გადატანები საინვესტიციო ქონებიდან	46	–	–	–	–	–	–	46
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,898	8,471	9,316	2,066	593	42	127	22,513
შემოსვლები	–	–	191	241	100	–	160	692
გადატანა	–	(1)	1	12	–	–	(12)	–
გასვლა/ჩამოწერა	–	–	–	–	(10)	–	–	(10)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,898	8,470	9,508	2,319	683	42	275	23,195
დაგროვილი ცვეთა								
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	–	(3,180)	(4,670)	(1,834)	(531)	(97)	–	(10,312)
წლის დანარიცხი	–	(566)	(914)	(159)	(65)	(18)	–	(1,722)
გასვლა/ჩამოწერა	–	4	1,619	87	223	97	–	2,030
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	–	(3,742)	(3,965)	(1,906)	(373)	(18)	–	(10,004)
წლის დანარიცხი	–	(564)	(628)	(189)	(55)	(8)	–	(1,444)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	–	(4,306)	(4,593)	(2,095)	(428)	(26)	–	(11,448)
წმინდა საბალანსო ღირებულება								
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,898	4,729	5,351	160	220	24	127	12,509
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,898	4,164	4,915	224	255	16	275	11,747

ძირითადი საშუალებები მოიცავს სრულად ამორტიზირებულ მუხლებს 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თვითღირებულებით 3,592 აშშ დოლარი (2023 წლის 31 დეკემბერი: 2,421 აშშ დოლარი).

შპს „რომპეტროლ საქართველო“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები - 2024 წლის 31 დეკემბერი

(ათას აშშ დოლარში)

12. მარაგები

ათას აშშ დოლარში	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
გადასაყიდად გამიზნული საქონელი	4,718	9,718
საქონელი გზაში	3,790	6,095
სხვა მარაგები	47	149
სულ	8,555	15,962

მარაგების თვითღირებულება, რომელიც პერიოდის ხარჯად აღიარდება, წარმოადგენს გაყიდული საქონლის თვითღირებულებას 217,557 აშშ დოლარის (2023 წ.: 215,977 აშშ დოლარი) ოდენობით.

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ათას აშშ დოლარში	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	4,155	5,213
სხვა ფინანსური მოთხოვნები	129	288
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(230)	(223)
სულ	4,054	5,278

კომპანიის დაქვემდებარება საკრედიტო და სავალუტო რისკების მიმართ ასევე სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი აღწერილია მე-19 შენიშვნაში.

14. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ათას აშშ დოლარში	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ნაშთები ბანკში	1,591	1,474
ნაღდი ფული საღაროში	276	271
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,867	1,745

კომპანიის დაქვემდებარება საპროცენტო განაკვეთის რისკზე და მგრძნობელობის ანალიზი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის მოცემულია მე-19 შენიშვნაში.

15. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის 2013 წლის 14 თებერვლით დათარიღებული წესდების თანახმად, კომპანიის უფლებამოსილი საწესდებო კაპიტალი 5,765 აშშ დოლარია. თანხა ნაღდი ფორმით იყო შეტანილი.

დივიდენდები

წლის განმავლობაში დივიდენდები არ გამოცხადებულა და არც გადახდილა (2023 წ.: ნული).

16. კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს შესაბამისი კაპიტალის, რომ დაკმაყოფილდეს კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნები და შენარჩუნდეს ბაზრის მონაწილეთა ნდობა. ეს მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვით, კომპანიის ამონაგებისა და მოგების მუდმივი მონიტორინგისა და გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმებით, რომელიც მეტწილად კომპანიის საოპერაციო ფულადი ნაკადებით ფინანსდება. კომპანია ინარჩუნებს სათანადო კაპიტალის ბაზას თავისი საოპერაციო და სტრატეგიული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ამ ღონისძიებებით კომპანია მოგების სტაბილურ ზრდას ისახავს მიზნად.

წლის განმავლობაში კაპიტალის მართვის კომპანიისეულ მიდგომაში ცვლილებები არ განხორციელებულა.

კომპანიას არ ეხება კაპიტალთან დაკავშირებული რაიმე გარე მოთხოვნები.

17. იჯარები

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია იჯარების შესახებ, რომლებშიც კომპანია მოიჯარეა:

აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულებაში შემდეგი ცვლილებები განხორციელდა:

ათას აშშ დოლარში	ბენზინგასამართი სადგურები	საოფისე ფართი და სხვა შენობა- ნაგებობები	სულ
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 1 იანვრის			
მდგომარეობით	19,348	50	19,398
შემოსვლები	789	1,068	1,857
მოდIFIცილება	862	—	862
ცვეთის ხარჯი წლის განმავლობაში	(3,185)	(122)	(3,307)
საბალანსო ღირებულება 2023 წლის			
31 დეკემბრის მდგომარეობით	17,814	996	18,810
შემოსვლები	1,365	—	1,365
მოდIFIცილება	21	—	21
ცვეთის ხარჯი წლის განმავლობაში	(3,462)	(214)	(3,676)
საბალანსო ღირებულება 2024 წლის			
31 დეკემბრის მდგომარეობით	15,738	782	16,520

მოგება—ზარალში აღიარებული თანხები

ათას აშშ დოლარში	2024	2023
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	(1,430)	(1,505)
მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული ხარჯები	(280)	(57)
ცვლად საიჯარო გადახდებთან დაკავშირებული ხარჯები	(882)	(866)
სულ	(2,592)	(2,428)

17. იჯარები (გაგრძელება)

ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში აღიარებული თანხები

ათას აშშ დოლარში	2024	2023
სულ იჯარებიდან ფულადი სახსრების გასვლა	(5,808)	(5,383)

სულ ფულადი სახსრების გასვლები 1,162 აშშ დოლარის ოდენობით 2024 წელს (2023 წ.: 923 აშშ დოლარი) მოიცავს ფულადი სახსრების გასვლას ცვლადი საიჯარო გადახდებისთვის, რომლებიც არ არის შესული საიჯარო ვალდებულებების შეფასებაში და მოკლევადიანი იჯარების საიჯარო ვალდებულებებისთვის.

ფინანსური საქმიანობებიდან წარმოშობილი ფულადი ნაკადების ვალდებულებების ცვლილება – საიჯარო ვალდებულებები

ათას აშშ დოლარში	2024	2023
ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით	19,876	20,112
საიჯარო ვალდებულებების გადახდა – ძირითადი	(3,216)	(2,955)
მთლიანი ცვლილება საფინანსო ფულადი ნაკადებიდან	(3,216)	(2,955)
<i>სხვა ცვლილებები:</i>		
შემოსვლები	1,365	1,857
იჯარის მოდიფიცირება	21	862
საპროცენტო დანარიცხი	1,430	1,505
გადახდილი პროცენტი	(1,430)	(1,505)
სულ ვალდებულებასთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები	1,386	2,719
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	18,046	19,876
მოკლევადიანი საიჯარო ვალდებულება	3,145	3,139
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	14,901	16,737

კომპანია იჯარით იღებს ბენზინგასამართ სადგურებს და საოფისე ობიექტებს. ყველა საიჯარო ხელშეკრულება აშშ დოლარშია გამოხატული. სხვადასხვა საიჯარო ხელშეკრულებას განსხვავებული იჯარის ვადა აქვს. იჯარები ჩვეულებრივ მოქმედებენ მინიმალური შეუქცევადი 1–10–წლიანი პერიოდით, ამ ვადის გასვლის შემდეგ განახლების შესაძლებლობით.

კომპანია ფართოდ განმარტავს იჯარის მოქმედების ინტერპრეტირებას საიჯარო ხელშეკრულებებში. იჯარის ვადა ასახავს კომპანიის მიერ იმ პერიოდის გონივრულ შეფასებას, რომლის განმავლობაშიც მოხდება საიჯარო აქტივის გამოყენება. იჯარის ვადის განსაზღვრებისას კომპანია თავის განსჯას აფუძნებს ხელშეკრულების და საიჯარო აქტივის უფრო ფართო ეკონომიკურ ფაქტორებზე და არა მხოლოდ სახელშეკრულებო პირობებზე და დაუშვებს ისეთ ფაქტორებს, როგორიც არის ეკონომიკური ჯარიმები, იჯარის განახლების საკანონმდებლო მიდგომა და მომავალი ცვლილებები რეგულირებაში, რომლებიც ეფექტურად გამოიყენება იჯარის ვადის შეფასებაში.

17. იჯარები (გაგრძელება)

ფინანსური საქმიანობებიდან წარმოშობილი ფულადი ნაკადების ვალდებულებების ცვლილება – საიჯარო ვალდებულებები (გაგრძელება)

იჯარებისთვის საიჯარო ვალდებულებების შეფასებისას კომპანია ახდენს საიჯარო გადახდების დისკონტირებას ზღვრული სასესხო განაკვეთის გამოყენებით, იჯარის აღიარების თარიღში. კომპანიამ იყენებს ერთ დისკონტირების განაკვეთს, გონივრულად მსგავსი მახასიათებლების მქონე იჯარების პორტფელზე. მომავალი საიჯარო გადახდების დისკონტირებისთვის გამოყენებული საშუალო შეწონილი განაკვეთი 2023 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაახლოებით 8% იყო.

18. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ათას აშშ დოლარში	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	15,042	30,737
სხვა ვალდებულებები	878	1,541
სულ	15,920	32,278

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებული სავალუტო და ლიკვიდურობის რისკები განხილულია მე-19 შენიშვნაში.

19. სამართლიანი ღირებულება და რისკის მართვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია ფასის განსაზღვრა, რომელიც მიიღება აქტივის გასაყიდად ან ვალდებულების გადაცემის ასანაზღაურებლად ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით ოპერაციაში შეფასების თარიღისთვის. თუმცა, განუსაზღვრელობების და სუბიექტური მოსაზრების გათვალისწინებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული ისე, რომ მისი რეალიზება შესაძლებელია აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვით ან ვალდებულებების გადაცემით.

კომპანიამ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა შეფასების მეთოდების გამოყენებით. შეფასების მეთოდების მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომლის მიღებაც მოხდებოდა აქტივის გასაყიდად ან ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით ოპერაციაში ვალდებულების გადასაცემად. გამოყენებული შეფასების მეთოდია დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი. ყველა ფინანსური აქტივის და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება დაანგარიშდება მომავალი ძირითადი თანხისა და პროცენტის ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირდება საანგარიშგებო თარიღში პროცენტის ბაზრის განაკვეთით.

19. სამართლიანი ღირებულება და რისკის მართვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება (გაგრძელება)

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიის ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებას არის მიახლოებული.

ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებასთან მიმართებით კომპანია შემდეგ რისკებს გასწევს:

- ▶ საკრედიტო რისკი;
- ▶ ლიკვიდობის რისკი;
- ▶ საბაზრო რისკი.

რისკის მართვის სტრუქტურა

ხელმძღვანელობას აქვს საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკის მართვის სტრუქტურის შექმნასა და მიმოხილვაზე.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია კომპანიის წინაშე მდგომი რისკების გამოვლენა და ანალიზი, შესაბამისი რისკის ლიმიტების და კონტროლების განსაზღვრა და რისკების მართვა და ლიმიტების დაცვა. რისკების მართვის პოლიტიკა და სისტემები რეგულარულად გადაიხედება ბაზრის პირობებსა და კომპანიის აქტივობებში ცვლილებების ასახვის მიზნით. კომპანიის ტრენინგებისა და მართვის სტანდარტებისა და პროცედურების მიზანია დისციპლინირებული და კონსტრუქციული მართვის გარემოს შექმნა, რომელშიც ყველა თანამშრომელს ესმის საკუთარი როლი და ვალდებულება.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის მიერ ფინანსური ზარალის გაწევის რისკი, თუ ფინანსური ინსტრუმენტის მომხმარებელი ან კონტრაქტენტი ვერ დააკმაყოფილებს სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ძირითადად წარმოიშობა მომხმარებლების მიმართ კომპანიის მოთხოვნებიდან.

საკრედიტო რისკის ზომა

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება რისკის მაქსიმალურ ზომას წარმოადგენს. მაქსიმალური საკრედიტო რისკის ზომა საანგარიშგებო თარიღში იყო:

ათას აშშ დოლარში	შენიშვნა	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	4,054	5,278
ბანკში არსებული ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14	1,591	1,474
სულ		5,645	6,752

19. სამართლიანი ღირებულება და რისკის მართვა (გაგრძელება)**სავაჭრო მოთხოვნები**

საკრედიტო რისკზე კომპანიის დაქვემდებარებაზე მეტწილად მოქმედებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. კომპანიის მომხმარებელთა ბაზის დემოგრაფიულ მონაცემებს, იმ ინდუსტრიის დეფოლტის რისკის გათვალისწინებით, სადაც მომხმარებლები ოპერირებენ, ყველაზე ნაკლები გავლენა აქვთ საკრედიტო რისკზე. თუმცა, გეოგრაფიულად საკრედიტო რისკი მეტწილად საქართველოშია კონცენტრირებული.

ხელმძღვანელობამ დანერგა საკრედიტო პოლიტიკა, რომლითაც ყველა ახალი მომხმარებელი ინდივიდუალურად ფასდება კრედიტუნარიანობაზე, კომპანიის სტანდარტული გადახდისა და მიწოდების პირობების შეთავაზებამდე. კომპანიის მიმოხილვითი შემოწმება მოიცავს შიდა რეიტინგებს (როცა ხელმისაწვდომია) და რიგ შემთხვევაში ბანკის საცნობარო მონაცემებს. კომპანიის ამონაგების დაახლოებით 11% (2023 წ.: 13%) უკავშირდება გაყიდვის ოპერაციებს ერთ მომხმარებელთან.

კომპანიას აქვს ხანგრძლივი ურთიერთობა თავის მნიშვნელოვან მომხმარებლებთან და ზარალს იშვიათად აქვს ადგილი. მომხმარებლის საკრედიტო რისკის მონიტორინგის პროცესში, მომხმარებლები ჯგუფდება მათი საკრედიტო მახასიათებლების მიხედვით, მათ შორის ისინი ფიზიკური პირები არიან, თუ იურიდიული, საბითუმო, საცალო თუ საბოლოო მომხმარებლები არიან, მათი გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, ინდუსტრია, ასაკობრივი პროფილი, ვადიანობა და ფინანსური სირთულეების ადრე არსებობის ფაქტები. სავაჭრო მოთხოვნები მეტწილად უკავშირდება კომპანიის კორპორაციულ მომხმარებლებს.

კომპანიას არ აქვს სავაჭრო მოთხოვნები და სახელშეკრულებო აქტივები, რომლებისთვისაც ზარალის რეზერვი არ აღიარებულა უზრუნველყოფის საგნის გამო.

საკრედიტო რისკის მაქსიმალური ზომა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის საანგარიშგებო თარიღისთვის გეოგრაფიული რეგიონების მიხედვით იყო შემდეგი:

ათას აშშ დოლარში	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ადგილობრივი	4,054	5,278
სულ	4,054	5,278

საკრედიტო რისკის მაქსიმალური ზომა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის საანგარიშგებო თარიღისთვის მომხმარებლების ტიპის მიხედვით იყო შემდეგი:

ათას აშშ დოლარში	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
საცალო ვაჭრობა	2,759	3,063
საბითუმო	1,295	2,215
სულ	4,054	5,278

19. სამართლიანი ღირებულება და რისკის მართვა (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია საკრედიტო რისკის ზომის და მომხმარებლების მიმართ სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესახებ 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ათას აშშ დოლარში	2024		
	გაუფასურების გარეშე	გაუფასურებული	სულ
მომხმარებლის საკრედიტო რისკის საფეხური			
დაბალი რისკი	4,284	–	4,284
სულ მთლიანი საბალანსო ღირებულება	4,284	–	4,284
ზარალის რეზერვი	(230)	–	(230)
	4,054	–	4,054
ათას აშშ დოლარში	2023		
	გაუფასურების გარეშე	გაუფასურებული	სულ
მომხმარებლის საკრედიტო რისკის საფეხური			
დაბალი რისკი	5,501	–	5,501
სულ მთლიანი საბალანსო ღირებულება	5,501	–	5,501
ზარალის რეზერვი	(223)	–	(223)
	5,278	–	5,278

კომპანია საკრედიტო რისკის ზომას ანაწილებს მონაცემებზე, რომლებიც დანაკარგის რისკისთვის განისაზღვრება, როგორც პროგნოზირებადი (მათ შორის შეუზღუდავად გარე რეიტინგების, კონტრაქტის პოტენციური ფინანსური სირთულეებისა და განვლილი ვადაგადაცილებული დღეების შესახებ ინფორმაციის ჩათვლით) და იყენებს გამოცდილ საკრედიტო განსჯას.

რეზერვის ანგარიში სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებით გამოიყენება გაუფასურების ზარალის აღრიცხვისთვის, სანამ არ ამოიწურება აღდგენის ყველა შესაძლებლობა; ამ მომენტში თანხები პირდაპირ ფინანსურ აქტივებზე ჩამოიწერება. ხელმძღვანელობის აზრით სავაჭრო მოთხოვნების ნაშთები დაბალ რისკიანი მომხმარებლების მიმართ აქვთ, და ისინი არ არის გაუფასურებული.

კომპანიი განსაზღვრავს დაბალი რისკის საფეხურებს შემდეგი სახით:

დაბალი რისკი – კონტრაქტებს აქვთ ძლიერი შესაძლებლობა, შეასრულონ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვალდებულებები უახლოეს მომავალში და ეკონომიკური და ბიზნეს პირობების უარყოფითი ცვლილებები გრძელვადიან პერსპექტივაში, სავარაუდოდ, არ შეამცირებს კონტრაქტების შესაძლებლობას, შეასრულონ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ვალდებულებები. გარე საკრედიტო რეიტინგის ეკვივალენტი Ba2–დან B3–მდე („Moody`s“-ის სარეიტინგო სააგენტო). საშუალო შეწონილი ზარალის დონე დაბალ რისკიანი საფეხურისთვის დაახლოებით 5.4%–ია (2023 წ.: 4.1%)

19. სამართლიანი ღირებულება და რისკის მართვა (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (გაგრძელება)

მოდრაობა გაუფასურების რეზერვში სავაჭრო მოთხოვნებთან მიმართებით წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

ათას აშშ დოლარში	2024	2023
ნაშთი წლის დასაწყისში	(223)	(249)
წლის (დანარიცხი)/აღდგენა, წმინდა	(7)	26
ნაშთი წლის ბოლოს	<u>(230)</u>	<u>(223)</u>

ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს ხელმისაწვდომი ფულადი ნაკადების საქართველოს ცნობილ ბანკებში განთავსებით. 2024 წლის 31 დეკემბრისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის ყველა ნაშთი უმსხვილეს ქართულ ბანკებში ინახებოდა, რომლებსაც „Fitch“-ის სარეიტინგო სააგენტოსგან მიღებული აქვთ „BB“ და „BB+“ რეიტინგები. ყველა ნაშთი 1-ელ სტადიას განეკუთვნება. კომპანია არ მოელის, რომ რომელიმე კონტრაქტის ვერ დააკმაყოფილებს ნაკისრ ვალდებულებას.

ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიას გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა რომელიმე ფინანსური აქტივით. ლიკვიდობის მართვის მიმართ კომპანიის მიდგომაა, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადადამდგარი ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და კომპანიის რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.

კომპანია ლიკვიდობის მოთხოვნებს მართავს მოკლე და გრძელვადიანი პროგნოზების გამოყენებით, ძირითადი ბიზნეს საქმიანობებიდან სახსრების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფითა და საჭიროების შემთხვევაში მომხმარებლებთან გადახდის ვადების გახანგრძლივების შეთანხმების გზით.

ხელმძღვანელობა რეგულარულად აკვირდება ყოველთვიურ პროგნოზებს კომპანიის ფულად ნაკადებთან დაკავშირებით. კომპანია ადგენს ბიუჯეტირების ყოველწლიურ პროცესს მშობელ საწარმოსთან, რაც მოიცავს ფულადი ნაკადების ყოველთვიურ პროგნოზებს. ბიუჯეტი გადახდილია ხელმძღვანელობის და დამტკიცებულია მშობელი საწარმოს მიერ.

19. სამართლიანი ღირებულება და რისკის მართვა (გაგრძელება)**ლიკვიდობის რისკის ზომა**

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადიანობა, პროცენტის მოსალოდნელი გადახდების ჩათვლით. მოსალოდნელი არ არის, რომ ვადიანობის ანალიზში შესული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად უფრო ადრე, ან მნიშვნელოვნად განსხვავებული ოდენობით.

ათას აშშ დოლარში	2024 წლის 31 დეკემბერი				
	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრუ- ლებო ფულადი ნაკადები	0-12 თვე	1-5 წელი	>5 წელი
არა წარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
საიჯარო ვალდებულებები	18,046	22,738	4,579	12,505	5,654
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15,920	15,920	15,920	–	–
სულ	33,966	38,658	20,499	12,505	5,654

ათას აშშ დოლარში	2023 წლის 31 დეკემბერი				
	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრუ- ლებო ფულადი ნაკადები	0-12 თვე	1-5 წელი	>5 წელი
არა წარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
საიჯარო ვალდებულებები	19,876	29,714	4,590	15,054	10,070
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	32,278	32,278	32,278	–	–
სულ	52,154	61,992	36,868	15,054	10,070

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ საბაზრო ფასების, მაგალითად უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ფასების ცვლილება იმოქმედებს კომპანიის შემოსავალზე ან ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის ღირებულებაზე. საბაზრო რისკის მართვის მიზანია საბაზრო რისკის მართვა და გაკონტროლება მისაღები პარამეტრების ფარგლებში და, ამასთანავე, უკუგების ოპტიმიზაცია.

სავალუტო რისკი

კომპანია გასწევს სავალუტო რისკს გაყიდვებზე, რომლებიც ლარშია გამოხატული.

19. სამართლიანი ღირებულება და რისკის მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკის მოცულობა

კომპანიის უცხოური ვალუტის რისკი, რომელიც პირობით თანხას ეფუძნება, შემდეგი იყო:

ათას აშშ დოლარში	ლარში გამოხატული	
	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,795	4,990
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(1,106)	(1,178)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,857	1,734
წმინდა რისკის ზომა	3,546	5,546

წლის განმავლობაში მოქმედებდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

ათას აშშ დოლარში	საშუალო განაკვეთი		განაკვეთი წლის ბოლოს	
	2024 წ.	2023	2024	2023
1 ლარი	0.3675	0.3805	0.3563	0.3718

მგრძნობელობის ანალიზი

აშშ დოლარის გონივრული შესაძლო 10%-იანი (2023 წ.: 10%) გაუფასურება, როგორც ქვემოთ არის მითითებული, ლართან მიმართებით 31 დეკემბერს იმოქმედებდა უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებაზე და საკუთარ კაპიტალსა და მოგება-ზარალზე, ქვემოთ ნაჩვენები ოდენობით. ანალიზი ეფუძნება დაშვებას, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ კი საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩება და არ ითვალისწინებს საპროგნოზო ყიდვა-გაყიდვების რაიმე გავლენას.

ათას აშშ დოლარში	2024	2023
მოგება ან (ზარალი)	355	556

ლართან მიმართებით აშშ დოლარის გამყარებას 31 დეკემბერს თანაბარი, მაგრამ ნეგატიური ეფექტი ექნებოდა ზემოთ მოცემულ თანხებზე, იმ პირობით, რომ ყველა სხვა ცვლადი უცვლელი დარჩება.

20. პირობითი ვალდებულებები

ვალდებულებები

კომპანიას არ ჰქონია არსებითი დაუფარავი ვალდებულებები 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

საგადასახადო პირობითი ვითარებები საქართველოში

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხშირია საკანონმდებლო ცვლილებები, ოფიციალური განცხადებები და სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხშირად ბუნდოვანი და ურთიერთსაწინააღმდეგოა და სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს გაგებული. საგადასახადო წლის შემოწმება საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში უფრო დიდი ხნის შემდეგაც.

ამ გარემოებებმა შეიძლება საქართველოში შექმნან საგადასახადო რისკები, რომლებიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე უფრო განვითარებული საგადასახადო სისტემების მქონე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ მან ადეკვატურად გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარი ინტერპრეტაციის საფუძველზე. მაგრამ შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაცია შეიძლება კომპანიის ინტერპრეტაციისგან განსხვავდებოდეს და, თუ ისინი შეძლებენ თავიანთი ინტერპრეტაციის აღსრულებას, ამას შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

კომპანიის საგადასახადო პოზიციები 2019 წლის 1 იანვრამდე დაიხურა საგადასახადო ინსპექტირების მიერ, რომელიც 2020 წლის დეკემბერში დასრულდა. კომპანიას საქართველოს საგადასახადო უწყებას დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები არ დაურიცხავს. საგადასახადო ინსპექტირება სატრანსფერო ფასწარმოქმნასთან დაკავშირებით 2016 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდისთვის 2019 წლის იანვარში იყო ინიცირებული. ინსპექტირების შედეგად განხორციელდა დამატებით 1,612 აშშ დოლარის (4,623 ათასი ლარი) დარიცხვა, მათ შორის ჯარიმების და საურავების ჩათვლით, რომელიც კომპანიამ გაასაჩივრა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დავების განხილვის საბჭომ 2021 წლის 26 ნოემბერს გამოსცა გადაწყვეტილება, რომელსაც მოჰყვა საქართველოს შემოსავლების სამსახურის 2022 წლის 17 მარტით დათარიღებული შეკვეთა, რომლის მიხედვითაც სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და დამატებითი დარიცხვები 2,484 ათას ლარამდე შემცირდა. კომპანიამ განმეორებით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს გადაწყვეტილება და მოითხოვა დარჩენილი სადავო თანხების გაუქმება, რომელიც საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ არ დააკმაყოფილა. 2022 წელს ხელმძღვანელობამ სარჩელი შეიტანა თბილისის საქართველოს სასამართლოში გადასახადის დარჩენილ თანხაზე. სასამართლო სხდომები არ ჩატარებულა 2023 და 2024 წლებში.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ საქმის არსებითი მხარის მოგების ალბათობა უფრო მაღალია, ვიდრე წაგების ალბათობა. შესაბამისად საქართველოს საგადასახადო ორგანოს მიერ აღიარებული საგადასახადო პოზიციებისთვის ანარიცხი არ შექმნილა; თუმცა, ხელმძღვანელობა ასევე აღიარებს, რომ მოსალოდნელი შედეგის პროგნოზზე, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღის მდგომარეობით, მოქმედებს საქართველოში სატრანსფერო ფასწარმოქმნასთან დაკავშირებული დავების განხილვის პრაქტიკის ნაკლებობა.

20. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

სამართალწარმოებები

2022 წლის 16 აგვისტოს საქართველოს კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ დაიწყო კომპანიისა და საწვავის სხვა მნიშვნელოვანი მოვაჭრეების მიერ კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის პოტენციურ დარღვევასთან დაკავშირებული მოკვლევა. შედეგად საქართველოს კონკურენციის ეროვნულმა სააგენტომ კომპანიას დააკისრა ჯარიმა 366 აშშ დოლარის ოდენობით. შპს „რომპეტროლ საქართველო“ შეიტანა სარჩელი 2023 წლის 15 სექტემბერს. სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში განიხილება. დავა ეხება კონკურენციის სააგენტოს 2023 წლის 16 აგვისტოს გადაწყვეტილებას, რომლითაც დადგინდა კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონის მუხლის 7(1)(ა) დარღვევა და სააგენტომ დააკისრა ზემოხსენებული ჯარიმა.

ზემოთ ხსენებულ მოკვლევასთან დაკავშირებით ანარიცხის აღიარება არ მომხდარა, რადგან კომპანიის ხელმძღვანელობა თვლის, რომ სავარაუდო არ არის, რომ ეს ფაქტი გამოიწვევდა რაიმე სახის მნიშვნელოვან ჯარიმას ან ექნებოდა სხვა შედეგები. ამასთან ხელმძღვანელობა ასევე აღიარებს, რომ შედეგმა შეიძლება მოლოდინს გადააჭარბოს.

სასამართლო დავები

ჩვეული საქმიანობის პროცესში შესაძლებელია კომპანიის წინააღმდეგ სარჩელი ან სასამართლო დავა აღიძრას. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ საბოლოო ვალდებულება, გარდა ანარიცხად აღიარებულისა, რომელიც სამართლებრივი დავებიდან წარმოიშობა, უარყოფითად არ იმოქმედებს ფინანსურ მდგომარეობაზე ან სამომავლო საქმიანობის შედეგებზე.

გარემოსდაცვითი საკითხები

საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულაციების აღსრულება მიმდინარეობს და ხელისუფლების ორგანოების აღსრულების პოზიცია მუდმივად გადაიხედება. კომპანია პერიოდულად აფასებს მის ვალდებულებებს გარემოსდაცვითი რეგულაციების ფარგლებში. ვალდებულებების განსაზღვრასთან ერთად ისინი სასწრაფო წესით აღიარდება. პოტენციური ვალდებულებები, რომლებიც შესაძლოა წარმოიშვას არსებული რეგულაციების, სამოქალაქო სასამართლო დავების ან კანონმდებლობის ცვლილებით, ვერ შეფასდება, მაგრამ შესაძლოა არსებითი მნიშვნელობის იყოს. მიმდინარე აღსრულების ფარგლებში არსებული კანონმდებლობის საფუძველზე, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარემოს დაზიანების მნიშვნელოვანი ვალდებულებები არ არსებობს.

კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებული მოსაზრებები

კომპანიის ხელმძღვანელობა ითვალისწინებს კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენის შესახებ გლობალურ ცნობას და მოსაზრებებს. დღეისათვის ამ საკითხს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე და რთულია პროგნოზის გაკეთება კომპანიის საქმიანობასა და საქმიან გეგმებზე მისი მომავალი გავლენების შესახებ. ხელმძღვანელობა განაგრძობს ამ სფეროში არსებული ვითარების მონიტორინგს და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისად იმოქმედებს კომპანიის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად და მიიღებს მთავრობის ყველა მეთოდურ რეკომენდაციას, რომლებიც გაიცემა იმ ბაზრებთან დაკავშირებით, რომლებშიც კომპანია ფუნქციონირებს.

21. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, ზოგადად, ითვლება დაკავშირებულად, თუ ისინი ექვემდებარებიან საერთო კონტროლს, ან ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. დაკავშირებული მხარეების ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

ოპერაციები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან – უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შესულია დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოების ხარჯებში:

ათას აშშ დოლარში	2024		2023	
ხელფასები და სხვა სარგებლები	398		336	
ათას აშშ დოლარში	ოპერაციები 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის		დაუფარავი ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	
	2024	2023	2024	2023
საქონლის გაყიდვა:				
საერთო კონტროლს				
დაქვემდებარებული საწარმო	1	1	202	45
საქონლისა და მომსახურებების შესყიდვა:*				
საერთო კონტროლს				
დაქვემდებარებული საწარმო	165,241	174,646	15,294	31,359
გადახდილი ავანსები:				
საერთო კონტროლს				
დაქვემდებარებული საწარმო	317	–	317	–
ფინანსური დანახარჯი:				
საერთო კონტროლს				
დაქვემდებარებული საწარმო	1,210	1,455	–	–

* 2024 წელს საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისგან შეძენილი საქონელი და მომსახურებები მეტწილად მოიცავდა: შვილობილი საწარმოსგან „KMG Trading AG“ შეძენილ მარაგებს 160,996 აშშ დოლარის (2023 წ.: 170,535 აშშ დოლარი) ოდენობით. ფინანსური დანახარჯები მოიცავს: ჯგუფში შემავალ შვილობილ საწარმოსთან „KMG Trading AG“ დაკავშირებული ჯარიმის გვიან გადახდა 1,210 აშშ დოლარის (2023 წ.: 1,455 აშშ დოლარი) ოდენობით.

საქონლის და მომსახურებების შესყიდვა ასევე მოიცავს შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ მიერ გაწეულ ტრანსპორტირების მომსახურებებს 2,232 აშშ დოლარის (2023 წ.: 2,428 აშშ დოლარი) ოდენობით. ზემოთ განხილული დაკავშირებული მხარისგან საწვავის შესყიდვა გამორიცხავს აქციზის გადასახადის მოსაკრებელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 23,137 აშშ დოლარის (2023 წ.: 24,773 აშშ დოლარი) ოდენობით და ის ქმნის მარაგების თვითღირებულების ნაწილს.

ყველა დაუფარავი ნაშთი დაკავშირებულ მხარეებთან უნდა დაიფაროს ნაღდი ფორმით, საანგარიშგებო თარიღიდან ერთ წელიწადში. არცერთი ნაშთი არ არის უზრუნველყოფილი.

22. ცვეთა

ცვეთა მოიცავს ცვეთის დანარიცხს ძირითადი საშუალებებისა და აქტივების გამოყენების უფლებისთვის ქვემოთ ნაჩვენები ფორმით:

ათას აშშ დოლარში	2024	2023
ცვეთის დანარიცხი ძირითადი საშუალებებისთვის მოიცავს სადისტრიბუციო დანახარჯებს (მე-8 შენიშვნა)	1,342	1,591
ცვეთის ხარჯი ძირითადი საშუალებებისთვის ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში (მე-9 შენიშვნა)	102	132
ცვეთის ხარჯი აქტივების გამოყენების უფლებისთვის სადისტრიბუციო დანახარჯებში (მე-8 შენიშვნა)	3,462	3,184
ცვეთის ხარჯი აქტივების გამოყენების უფლებისთვის ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში (მე-9 შენიშვნა)	214	122
მთლიანი ცვეთა	5,120	5,029

23. დასაქმებულთა სარგოს და სარგებლის ხარჯი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია მოგება-ზარალში აღიარებული სარგოები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები:

ათას აშშ დოლარში	2024	2023
სადისტრიბუციო დანახარჯებში შესული (მე-8 შენიშვნა)	4,951	4,048
ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში შესული (მე-9 შენიშვნა)	790	1,006
სულ დასაქმებულთა სარგოს და სარგებლის ხარჯი	5,741	5,054

შპს „რომპეტროლ საქართველო“

მმართველობის ანგარიშგება

2024

1. კომპანია და მისი ოპერაციები

შპს „რომპეტროლ საქართველო“ (შემდგომში „კომპანია“) 2005 წლის 5 დეკემბერს დაფუძნდა და ის საქართველოში მდებარეობს. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და დაფუძნებულია საქართველოს ნორმატიული აქტების შესაბამისად. ის თბილისის საგადასახადო ინსპექციამ დაარეგისტრირა საიდენტიფიკაციო კოდით: 204493002.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის უშუალო მშობელი საწარმო იყო „KMG International N.V.“, რომლის საბოლოო მაკონტროლებელი იყო სს „Sovereign Wealth Fund „Samruk-Kazyna“.

კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი ბიზნეს საქმიანობაა საწვავის იმპორტი და რეალიზაცია საქართველოს ტერიტორიაზე, საცალო და საბითუმო არხებით.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება დიდწილად არის დამოკიდებული მთავრობის მიერ გატარებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული ღონისძიებების ეფექტურობაზე, საგადასახადო, სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებებთან ერთად.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ის ყველა საჭირო ღონისძიებას ატარებს კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

2. ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებული პოლიტიკა

2024 წლის მდგომარეობით კომპანიაში საშუალოდ 800 ადამიანი იყო დასაქმებული, საიდანაც დაახლოებით 4%-ს წარმოადგენს უმაღლესი და საშუალო რანგის ხელმძღვანელობა, ხოლო 8%-ს სხვადასხვა პროფესიონალები, რომლებიც ოფისიდან მუშაობენ. დანარჩენი წარმოდგენილია ბენზინგასამართი სადგურების ქსელში, მაღაზიებსა და დეპოებში დასაქმებული პირები.

კომპანია საქართველოს ბაზარზე ერთ-ერთი საუკეთესო დამსაქმებელია და უზრუნველყოფს თავისი თანამშრომლების განვითარებასა და კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სხვადასხვა პროგრამას.

თანამშრომელთა და ტალანტების განვითარების პროგრამების ეფექტური განხორციელება უზრუნველყოფილია სწავლისა და განვითარებისთვის განკუთვნილი ფონდით, რომელიც პერსონალის მთლიანი ხარჯების 1%-ს მოიცავს.

კომპანია ეფექტურად იყენებს შესრულების მაჩვენებლების შეფასების სისტემას, რომელიც მოიცავს ეფექტურობისა და შესრულების მაჩვენებლების მართვას KPI-ებით, MBO-ებით და კომპეტენციების მოდელით. დასაქმებული პირები (გარდა კომერციული და საცალო ვაჭრობის ქსელის გუნდებისა) უფლებამოსილი არიან მიიღონ შესრულების მაჩვენებლებზე დაფუძნებული ყოველწლიური ბონუსი მათი ინდივიდუალური მიღწევების გათვალისწინებით, საქმიანობის შედეგების შეფასების მოქმედი სისტემის ფარგლებში.

2. ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებული პოლიტიკა (გაგრძელება)

კომერციული და საცალო ვაჭრობის ქსელის გუნდებისთვის, მოქმედებს კარგად ჩამოყალიბებული კვარტალური ბონუსების სისტემა, რომლის გადახდებიც წინასწარ განსაზღვრული მიზნების მიღწევასთან არის დაკავშირებული. ამასთან, შესრულების მაჩვენებლებზე დაფუძნებული ყოველთვიური ბონუსი გამოიყენება ბენზინგასამართი სადგურის მომსახურებებზე. ეს ბონუსი დაანგარიშდება ოპერაციების მიხედვით – მომსახურების მიმღები თითოეული მომხმარებელი კონკრეტული ბონუსის თანხის გენერირებას ახდენს.

თავისი თანამშრომლების კეთილდღეობა შპს „რომპეტროლ საქართველოს“ პრიორიტეტს წარმოადგენს, შესაბამისად კომპანია თავის ხალხს სთავაზობს თანამშრომელთა ძალიან ძვირფას და მრავალფეროვან კეთილდღეობის პროგრამებს. მაგალითად დასაქმებულ პირთა კეთილდღეობის პროგრამები მოიცავს (შეუზღუდავად) საპენსიო ფონდში დასაქმებული ნაწილის გადახდას, ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამებს და მგზავრობის დაზღვევას, სპორტულ აკადემიას, სპეციალურ ანაზღაურებად შვებულებას სწავლისთვის, მოკლე სამუშაო დღეს პარასკევს, დისტანციური სამუშაოს შესაძლებლობას ოფისის თანამშრომლებისთვის და მრავალი სხვა.

3. კომპანიის განვითარების სტრატეგიები

კომპანია თავისი საცალო ქსელის განვითარებაზეა ორიენტირებული უახლოეს წლებში საქართველოს სხვადასხვა ლოკაციაზე ახალი ბენზინგასამართი სადგურების გახსნით. ამასთან ის ავითარებს და განაგრძობს თავის ქსელში ახალი სერვისების დამატებას, როგორც არის მაღაზიები და თვითმომსახურების სადგურები. გარდა ამისა, მომხმარებლის კმაყოფილება კომპანიისთვის კვლავ პრიორიტეტულია და ის მუდმივად მუშაობს სამომხმარებლო სერვისის გაუმჯობესებაზე. პერიოდულად ტარდება სხვადასხვა კვლევა საწვავის ბაზარზე მომხმარებლების პრეფერენციების, მათი მოლოდინებისა და კმაყოფილების, ასევე ბრენდის სიჯანსაღისა და პოზიციონირებისთვის თვალყურის დევნების მიზნით.

2017 წლის აგვისტოში ლოიალობის პროგრამის წამოწყების შემდეგ, ლოიალური მომხმარებლების ბაზა 2023 წლის დეკემბერში 388,302–დან 2024 წლის 414,205–მდე გაიზარდა.

4. კომპანიის მთავარი ფინანსური ინდიკატორები

ფინანსური წელი	ამონაგები (ათასი აშშ დოლარი)	აქტივის მთლიანი ღირებულება (ათასი აშშ დოლარი)
2024	244,675	43,982
2023	232,768	54,850

5. ფინანსური რისკები

რისკის მართვის ფუნქციას კომპანიაში ეკისრება ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვა. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო (მათ შორის სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკებს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი ამოცანებია რისკის ლიმიტების დადგენა და შემდგომ უზრუნველყოფა იმისა, რომ დაუფარავი დავალიანება დადგენილ ლიმიტებს არ სცდებოდეს. საოპერაციო და იურიდიული რისკის მართვის ფუნქციების მიზანია შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორად ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და იურიდიული რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

საბაზრო რისკი

კომპანიას ახასიათებს საბაზრო რისკები. საბაზრო რისკებს განაპირობებს ღია პოზიცია (ა) უცხოურ ვალუტაში და (ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში, რომელთაგან ყველა დამოკიდებულია ბაზრის ზოგად და კონკრეტულ ცვლილებებზე. ხელმძღვანელობა ადგენს მისაღები რისკის ღირებულების ლიმიტებს, რომელიც ყოველდღიურად კონტროლდება. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უშლის ხელს ამ ლიმიტების მიღმა დანაკარგებს ბაზარზე უფრო მნიშვნელოვანი რყევების შემთხვევაში.

ქვემოთ მოცემული საბაზრო რისკების მიმართ მგრძნობელობა ეყრდნობა ცვლილებას ერთ ფაქტორში, როდესაც ყველა დანარჩენი ფაქტორი მუდმივია. პრაქტიკაში ეს ნაკლებად სავარაუდოა, რომ მოხდეს და გარკვეულ ფაქტორებში მომხდარი ცვლილებები შეიძლება ერთმანეთთან კორელაციაში იყოს – მაგალითად, საპროცენტო განაკვეთისა და სავალუტო კურსების ცვლილება.

სავალუტო რისკი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის დაქვემდებარება უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის რისკზე საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღში:

	ლარში გამოხატული 2024 წლის 31 დეკემბერი	ლარში გამოხატული 2023 წლის 31 დეკემბერი
'000 აშშ დოლარი		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,795	4,990
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(1,106)	(1,178)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,857	1,734
წმინდა რისკის ზომა	3,546	5,546

ზემოხსენებული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებს და ვალდებულებებს. მიიჩნევა, რომ ინვესტიციები არაფულად აქტივებში არ გამოიწვევს რაიმე სახის არსებით სავალუტო რისკს.

5. ფინანსური რისკები (გაგრძელება)

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

კომპანია აქტიურად მუშაობს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით და 2024 წელსაც ახორციელებს პასუხისმგებლიან ბიზნეს საქმიანობას. კომპანია აგრძელებდა სოციალურად მხარდამჭერ აქტივობებს, როგორიცაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სახლების ბენეფიციარების საჩუქრებით უზრუნველყოფა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის სამედიცინო დაწესებულებებისა და დღის ცენტრების უფასო საწვავით უზრუნველყოფა სპეციალურად აღჭურვილი მიკროავტობუსისთვის, უფასო საწვავით დახმარება მოსახლეობის სხვა დაუცველი ფენებისთვის, ხანდაზმულებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ტრანსპორტირების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, კვების ობიექტებში ან საკუთარ სახლებში გამოსაკვებად. კომპანია აქტიურად ახდენს ჯანმრთელი ცხოვრების სტილის წახალისებას ერთერთი ქართველი მრბოლელის დაფინანსების გზით, რომელსაც წარმატებით აქვს მიღებული მონაწილეობა რამდენიმე ადგილობრივ შეჯიბრი, როგორიცაა Georgian Drift Series 2024, Red Bull Car Park Drift 2024 და King of Drift 2024. კომპანია გეგმავს მდგრადი განვითარების გაგრძელებას მომდევნო წლისთვის, თავისი დაინტერესებული მხარეების საჭიროებებზე მჭიდროდ დაკვირვების გზით.

6. კვლევა და განვითარება

კომპანიამ წარმატებით განახორციელა ბიზნეს და მარკეტინგული ოპერაციები და ინტენსიურად აწარმოებდა კომუნიკაციები სოციალური მედიით თავისი ბრენდის იმიჯის, როგორც მაღალი ხარისხის პროდუქტებისა და მომსახურებების ევროპული ბრენდის გასაუმჯობესებლად. კომპანია განაგრძობს ბრენდის პარტნიორობას სს „ლიბერთი ბანკთან“ „იყიდე ახლა – გადაიხადე მოგვიანებით“ საცალო საბანკო სერვისზე, რომელიც ერთობლივ მომხმარებლებს სთავაზობს საწვავის განვადებით შეძენას და განაგრძობს თანამშრომლობას საქართველოს ერთ-ერთ წამყვან ბანკთან სს „საქართველოს ბანკი“ სპეციალური სარეკლამო შეთავაზებებით PLUS ქულების დაგროვებისა და გამოსყიდვის პროგრამებით. კომპანია აქტიურად ემზადებოდა თავის ქსელში ევროპული მაღაზიებისა და გასტრონომიული ბრენდის „hei“ გასახსენლად, რომლითაც ის შესძლებს მომხმარებლებს შესთავაზოს გემრიელი ყავა, საკონდიტრო ნაწარმი და სურსათი, რაც ბენზინგასამართ სადგურებს მეტად მოსახერხებელ სივრცეებად გადააქცევს. შპს „რომპეტროლ საქართველომ“ აგრძელებს თავისი ერთგული მომხმარებლებისთვის იმის ჩვენებას, რომ კომპანია ორიენტირებულია მუდმივ განვითარებაზე, ერთგული მომხმარებლების შენარჩუნებასა და ახალი მომხმარებლების მოზიდვაზე, ამიტომ ინვესტიციები კომპანიის გრძელვადიანი ვალდებულებაა.

გენერალური დირექტორის მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, წინამდებარე დოკუმენტს ხელს აწერს და მის გამოსაცემად ნებართვას გასცემს კომპანიის ფინანსური დირექტორი:

კურმანგაზი ტურლიკოვ
ფინანსური დირექტორი

2025 წლის 1 ოქტომბერი
თბილისი, საქართველო

5. ფინანსური რისკები (გაგრძელება)

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

კომპანია აქტიურად მუშაობს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით და 2024 წელსაც ახორციელებს პასუხისმგებლიან ბიზნეს საქმიანობას. კომპანია აგრძელებდა სოციალურად მხარდამჭერ აქტივობებს, როგორიცაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სახლების ბენეფიციარების საჩუქრებით უზრუნველყოფა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის სამედიცინო დაწესებულებებისა და დღის ცენტრების უფასო საწვავით უზრუნველყოფა სპეციალურად აღჭურვილი მიკროავტობუსისთვის, უფასო საწვავით დახმარება მოსახლეობის სხვა დაუცველი ფენებისთვის, ხანდაზმულებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ტრანსპორტირების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, კვების ობიექტებში ან საკუთარ სახლებში გამოსაგვებად. კომპანია აქტიურად ახდენს ჯანმრთელი ცხოვრების სტილის წახალისებას ერთერთი ქართველი მრბოლელის დაფინანსების გზით, რომელსაც წარმატებით აქვს მიღებული მონაწილეობა რამდენიმე ადგილობრივ შეჯიბრი, როგორიცაა Georgian Drift Series 2024, Red Bull Car Park Drift 2024 და King of Drift 2024. კომპანია გეგმავს მდგრადი განვითარების გაგრძელებას მომდევნო წლისთვის, თავისი დაინტერესებული მხარეების საჭიროებებზე მჭიდროდ დაკვირვების გზით.

6. კვლევა და განვითარება

კომპანიამ წარმატებით განახორციელა ბიზნეს და მარკეტინგული ოპერაციები და ინტენსიურად აწარმოებდა კომუნიკაციები სოციალური მედიით თავისი ბრენდის იმიჯის, როგორც მაღალი ხარისხის პროდუქტებისა და მომსახურებების ევროპული ბრენდის გასაუმჯობესებლად. კომპანია განაგრძობს ბრენდის პარტნიორობას სს „ლიბერთი ბანკთან“ „იყიდე ახლა – გადაიხადე მოგვიანებით“ საცალო საბანკო სერვისზე, რომელიც ერთობლივ მომხმარებლებს სთავაზობს საწვავის განვადებით შეძენას და განაგრძობს თანამშრომლობას საქართველოს ერთ-ერთ წამყვან ბანკთან სს „საქართველოს ბანკი“ სპეციალური სარეკლამო შეთავაზებებით PLUS ქულების დაგროვებისა და გამოსყიდვის პროგრამებით. კომპანია აქტიურად ემზადებოდა თავის ქსელში ევროპული მაღაზიებისა და გასტრონომიული ბრენდის „hei“ გასახსნელად, რომლითაც ის შესძლებს მომხმარებლებს შესთავაზოს გემრიელი ყავა, საკონდიტრო ნაწარმი და სურსათი, რაც ბენზინგასამართ სადგურებს მეტად მოსახერხებელ სივრცეებად გადააქცევს. შპს „რომპეტროლ საქართველომ“ აგრძელებს თავისი ერთგული მომხმარებლებისთვის იმის ჩვენებას, რომ კომპანია ორიენტირებულია მუდმივ განვითარებაზე, ერთგული მომხმარებლების შენარჩუნებასა და ახალი მომხმარებლების მოზიდვაზე, ამიტომ ინვესტიციები კომპანიის გრძელვადიანი ვალდებულებათა.

გენერალური დირექტორის მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, წინამდებარე დოკუმენტს ხელს აწერს და მის გამოსაცემად ნებართვას გაცემს კომპანიის ფინანსური დირექტორი:

კურმანგაზი ტურლიკოვ
ფინანსური დირექტორი

2025 წლის 1 ოქტომბერი
თბილისი, საქართველო